

ივ. პავანიშვილის სახელმწის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი



2003

პავანის ეთნოლოგიური კრებული

VIII

ქართველი და საქართველოს არაქართული
მოსახლეობის ტრადიციული ყოფა და კულტურა

57665 ქ/ქ - 1646



თბილისი
2003

ნათება პელიკანი

შეიციდის ოთხო-სოციოლოგიური ასპექტები ხავშრათე

ქართულ ეთნოლოგიაში სუიციდის პრობლემა არასოდეს გამხდარა კვლევის ჟღად და შესაბამისად, არც ტრადიციულ საზოგადოებაში მისი ადგილი არ არის ჟურნალის. თვითმკვლელობის ფენომენის ძიების იდეა გაგვიჩნდა ხევსურული უთნოგრაფიული მასალების გაცნობის და ხევსურთა ყოფაზე დაკვირვების შედეგად, რამაც ცხადყო, რომ საქართველოს ამ კუთხეში თვითმკვლელობის კოეფიციენტი ჰავმად მაღალია. ჩვენი დაკვირვებით, საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ჟღავენ თავს ისე ხშირად და ისე იოლად, როგორც ხევსურეთში. საინტერესოა, რა არის სუიციდის ინტენსივობის მიზეზები და რამდენად არის იგი შეპირობებული აოციალურად და ეთნო-ფსიქოლოგიურად საკვლევ რეგიონში. სამწუხაროდ, ამ სკიოთხთან დაკავშირებით საგანგებოდ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა არ არსებობს. ამდენად, ნინამდებარე სტატიაში, სპეციალურ ლიტერატურაში გაბნეულ ფაქტებსა და ხევსურთა ყოფიდან ჩვენთვის ცნობილ ისტორიებს დავეყრდნობით. ამ ეტაპზე შევეცდებით საკითხი ეთნო-სოციოლოგიური პოზიცებიდან განვიხილოთ, რისთვისაც თავდაპირველად მოკლედ გავაანალიზებთ სუიციდის პრობლემას შოგადად სოციოლოგიური თვალსაზრისით.

სუიციდის თაობაზე მეცნიერებაში მრავალგვარი შეხედულება არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ძირითადად მედიკოსები) თვითმკვლელობის მიზეზად ინდივიდის მენტალურ აძლილობას მიიჩნევს, ანუ, მათი ზრით, თვითმკვლელობას არაჯანსალი ფსიქიკის მქონე ადამიანები სჩადიან, რიგი მკვლევარებისა, სუიციდის ნორმალურ მოვლენად თვლის, რამეთუ ამგვარი ქმედება ფსიქიკურად ჯანსალ ადამიანებშიც გვხვდება.

ალსანიშნავია, რომ ფსიქიკურად არაჯანსალი ადამიანის თვითმკვლელობა თავისი არსით განსხვადვება ჯანსალი ადამიანის თვითმკვლელობისაგან. ამის თაობაზე ე. დურკჰეიმი ნერს:

«Самоубийства психически ненормальных людей отличаются от остальных точно так же, как галлюцинации отличаются от нормальных восприятий и как автоматические импульсы от вполне сознательных поступков» (5.44).

მეცნიერთა ნაწილი თვითმკვლელობას ბიოლოგიურ ფაქტორებთან კავშირში შეინავლის, სხვანი კი მის მიზეზებს სამყაროს კანონებთან ან სოციალურ ფაქტორებთან მიმართებაში განიხილავენ.

ზ. ფრონდი, რომელიც ე. ნ. „ინსტინქტების თეორიის“ ფუძემდებლად გვევლინება, თვლიდა, რომ ადამიანს სიცოცხლის (ეროსი) და სიკვდილის (ტანატოსი) თანდაყოლილი ინსტინქტები გააჩნია. სიკვდილის ინსტინქტი სიცოცხლის ნერვებისა და შენწყვეტისაკენ არის მიმართული, იგი ძირითადად შიგნიდან გარეთ ნარიმართება.

სუ
საზოგად
ირლვევა
აუტანც
უსიამო
ამორალ
ადამიან
აღა
როგორ
პირადი
უბიძებე
თვითმკა
აზრს. ა
როდესა
ადამიან
ანი
შორის კ
ახერხებ
ბებს (de
გაუცხოე
ინდივიდ

ე. ა
რელიგია
პორციუ
ალიარა,
ტემპერა
გააჩინა
ჩვენ
ალინიშვ

ა)
ბ)
გ)
ხევს
მკლელ
ტიპის თ
„თა
კაცებში
ლილლი
ვლა. ხან
ერთხელ
დაუარცა

და მტრობაში, ნერევისადმი სწრაფვასა და ბევლელობაში გამოვლინდება, მაგრამ თუ ეს ინსტინქტი შეიგნით არის მიმართული, მაშინ იგი ინდივიდში თვითდასჯის ფორმით ვლინდება, რომლის უკიდურესი გამოხატულებაც თვითმკვლელობაა. (4,33).

გორდონი ამის თაობაზე ნერდა: «Если в душе каждого человека живет инстинкт жизни, как основа чувства самосохранения, то рядом с ним должен существовать и антагонист его, именно инстинкт смерти и самоистребления». (5. 10).

მეცნიერი მიიჩნევს, რომ ადამიანის ცხოვრება ამ ინსტინქტთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. შესაფერისი გარემო და ვითარება ააქტიურებს ერთს ან მეორეს. თვითმკვლელობისადმი განწყობა თითქოსდა ნინასარ არის ჩადებული ადმიანის სულში, მსგავსად ორგანიზმში ტუბერკულიოზის ჩხირისა და ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფება; ის შეიძლება ბოლომდე პასიური დარჩეს ან გარცვეულმა ვითარებამ გააქტიუროს, რასაც ჩვეულებრივ კატასროფა მოჰყვება ხოლმე.

ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, თვითმკვლელობა ადამიანის თვისუფალი ნების, დამოუკიდებელი სულის გამოვლენაა; თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, სუიციდს არა ადამიანის ნება და მისი შინაგანი ბუნება, არამედ სამყაროს კანონზომიერებანი განაპირობებს.

ე. დურკჰეიმი, რომელიც სოციოლოგიაში თანამედროვე ფუნქციონალური სკოლის დამაარსებლად ითვლება, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თვითმკვლელობის ფენომენი სოციალურ ფაქტორებთან მიმართებით შეისწავლა. მეცნიერი სუიციდისადმი მიდრეკილებას სოციალურ მიზეზებს უკავშირებდა და, თუმცა არ უარყოფდა პიროვნების ინდივიდუალურ მონაცემთა როლს თვითმკვლელობაში (ფსიქიკა, რელიგიური მრნამსი, განათლება, ტემპერამენტი...), იგი მას ღრმად სოციალურ მოვლენად მიიჩნევდა.

„ყოველ სოციალურ ჯგუფში, — ნერდა ე, დურკჰეიმი — არსებობს სრულიად განსაუთრებული მიდრეკილება თვითმკვლელობისადმი, რომელიც ვერ აიხსნება ვერც ინდივიდის ფიზიკურ-ორგანული წყობით და ვერც მისი გარემოს ფიზიკური ბუნებით, ეს ფენომენი სოციალურ მიზეზებს ემყარება და კოლექტიურ მოვლენას ნარმოადგენს. 5.167).

დურკჰეიმისათვის ინდივიდი ერთიანი კოლექტივის ნაწილია და ამიტომ, მის ცხოვრებაში ყველა მოვლენას და, მათ შორის, თვითმკვლელობასაც, იგი იმ ფაქტორებთან დაკავშირებით შეისწავლის, რომლებიც კოლექტივს მართავენ. ინდივიდუალისა და კოლექტივს შორის ბუნებრივი კავშირების მოშლა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი მისი შემადგენელი ერთულების დამკიდებულების მუდმივი კანონების დარღვევა მეცნიერს თვითმკვლელობის მიზანად მიაჩნია.

მჭიდრო კოლექტიური კავშირი, საზოგადოების შეკრულობა სუიციდისთვის ბარიერს ნარმოადგენს. ინდივიდი, როგორც საზოგადოების ნევრი, ვალდებულია იარსებოს საზოგადოებაში და ემსახუროს მას, მაგრამ როდესაც ხდება ამ კავშირების შესუსტება ან სულაც მოშლა, სწორედ მაშინ ჩნდება თვითმკვლელობის ალბათობა.

დურკჰეიმმა განასხვავა სუიციდის სამი ძირითადი ტიპი: სუბიექტური (იგივე ეგოისტური), ალტრუისტული და ანომიური.

სუბიექტური თვითმკვლელობის მიზანს ნარმოაგდენს პიროვნების გარიყვა
საზოგადოებისაგან, რომელიც ველარ ახერხებს თავისი ქცევის რეგულირებას,
ინდივიდუალური ინდივიდუალური და კოლექტივს შორის, რაც პიროვნების ყოფას
უტანელს ხდის. ეს მდგომარეობა შეიძლება მოჰყვეს ფიზიკურ ტანჯვას, ოჯახურ
უსიამოვნებებს, სიღატაკეს და ქონების დაკარგვას, რელიგიურ ფანატიზმს,
ამორალობას და ა. შ. საქმე გვაქვს უკიდურეს ინდივიდუალური მთან, ამ დროს
ადამიანსათვის სიცოცხლე ჩნდს კარგავ.

ალტრუისტული თვითმკვლელობის დროს ინდივიდი უკვე აღარ არსებობს
როგორც მთელის ნაწილი, ის მთლიანადაა შენყმული სოციალური მასასთან და მისი
პირადი ინტერესები სრულად ატრიტურებულია, ამ დროს საზოგადოება თითქოს
უბიძებს, ავალდებულებს და ქმნის გარკვეულ გარემოებას ინდივიდის
თვითმკვლელობისათვის, ადამიანი საჯუთარი თავის მიღმა ხედავს სიცოცხლის
ჩნდს. ალტრუისტული სუიციდი ხშირია მოხუცებსა და დავრდომილებს შორის,
როდესაც ისინი თავინთ ფუნქციასა და დანიშნულებას კარგავენ, ასევე საყვარელი
ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში.

ანომიური ტიპის თვითმკვლელობა გულისხმობს ინდივიდუალური და საზოგადოებას
შორის კავშირების მოშლას სოციალური ძვრების ნიადაგზე, როდესაც ადამიანი ვერ
ახერხებს შეეგუოს და შეეთვისოს საზოგადოებაში მიმდინარე გარკვეულ ცვლილე-
ბებს (ძირითადად სოციალური და პოლიტიკური მიმართულებების). ხდება მისი
გაუცხოვება, ველარ ხერხდება ურთიერთობათა რეგულირება, რასაც თან ახლავს
ინდივიდის ტანჯვა.

ე. დურკჰეიმი ასკვინის, რომ სუიციდის შემთხვევათა რიცხვი იცვლება იმ
რელიგიური, ოჯახური და პოლიტიკური საზოგადოებების ინტეგრაციის უკუპრო-
პორციულად, რომლის წევრადაც გვევლინება ინდივიდი. (5.265). მეცნიერმა
ალიარა, რომ სუიციდის ფენომენი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალური
ტემპერამენტის ყველაზე ღრმა და ძირითად ასპექტთან, რომ ყველა ეთნოსს
გააჩნია თავისებური განწყობა თვითმკვლელობისადმი. (5, 167).

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად ხევსურეთში ყველაზე ხშირად
აღინიშნება თვითმკვლელობის შემდეგი ფორმები:

- ა) მოხუცებულთა და დაუძლურებულთა სუიციდი.
 - ბ) სუიციდი საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო
 - გ) შეურაცხყოფის და დამცირების გამო მომხდარი სუიციდი
- ხევსურეთში დაფიქსირებული მოხუცებულთა და დაუძლურებულთა თვით-
მკვლელობები ძირითადად მამაკაცთა მიერ არის ჩადენილი და ალტრუისტული
ტიპის თვითმკვლელობას განეკუნება.

„თათია ბალიური მცოდნე კაცი იყო, ფიცხი, მამაცი, პურადი, რჯულის
კაცებში ავლევდნენ მთასიქითში, პირიქით ხევსურეთში, ხევის წელზე, გუდამაყარში,
კაცებში ავლევდნენ მთასიქითში, პირიქით ხევსურეთში, ხევის წელზე, გუდამაყარში,

დაასწრო, საკუთარ დაძაბუნებასა და გაუფასურებას შზა გადაუჭრა. ახლა ყველა კარგად მყავს დაბინავებული, ახლა მირჩევნია სიკვდილიო და თავი მოიკლა” (3,16).
პიროვნული გაუფასურება და უძლურება გახდა მიზტი ბარისახოელი უქუათ გოგოთურის თავის მოკვლისა.

„უკუათ გოგოთურიც ხევსურეთზე მეტი იყო სიმტკიცით, სიმაგრით, პურადობით, პირდაპირობით, გვარის, ოჯახისა და ჯვრის წესების დაცვით, თავმოყვარეობით ხევსურეთისათვის თავდადებულობით, შატილელებმა შვილი მოუკლეს, ამაზე ბიძაშვილმა ნათულამ მაშინვე თოფი დაიკრა, ათ წელინადს იცოცხლა სულხანაურის (შვილის) სიკვდილის შემდეგ, მერე დაავადდა, კუჭი სტკიო-იცოცხლა სულხანაურის (შვილის) სიკვდილის შემდეგ, მერე დაავადდა, კუჭი სტკიო-

და და მეტნილად იწვა. ერთ დღეს შეჰყარა სახლიკაცნი. მოაყვანინა შვიდი-რვა წლის

შეესვენებიც კი და განუცხადა: მე თავს მოვიკლავ და იცოდეთ ვისთან რა საქმე გვაქეს გასარჩევი სამტროც და სამოკეთეოცო. უთხრა როგორ უნდა გაერჩიათ საქმე შატილიონთან (სულხანაურის მევლელთან), უთხრა, რომ დაეცვათ თავიანთი მამულების „სამან-სამძღვარი“. არ გაეტეხათ ხევსურეთი, სოფლის პირი შეენახათ, დაუბარა რა „დაეყენებინათ“ დოლისათვის.

სახლიკაცებმა ქუდი გადაუყარეს და მუხლის ჩოქით თავდახრილები ტირილით შეესვენები – ნუ ჩაიდენ მაგ საქმეს, ყელს ნუ გამოგვჭრიო.

– თავს ვატყობ, ალარ მოვრჩები და ლელაის (რძალი) შესანახად ვარ გამხდარიო
– უთხრა გოგოთურმა, რომ ვერადერი გააგონეს, ხოშიათ თათარამ შეჰყარა სოფელი და საქლავი მიჰვარეს, მაგრამ ამაოდ, არაფერი შეისმინა, მაშინ ბარისახოელებმა გოგოთურის თოფს ჩახმახი წააძერეს და ჩუმად დამალეს, თვითონაც გადამალეს თოფები.

ეს ამბავი რომ ხდებოდა ცოლი თამია მოწმაოს იყო ძმის სანახავად წასული. ლელამ თქვა, რძლის გაეთებული „ტალავარი“ ჩაეცვა, შენახული ჰქონდა მის პატივ-საცემლადო. ბანზე გამოვიდა და დაიძახა – უნამუსოო, ჩემს თოფსაც მიახელი ხელი? სად დამალე ჩახმახი, თქვი, თორემ დანას დაგცემო, მე არ ავეძრახე, ხელი გავიქნიე, არ ვიცი, იმის ნიშნადო, და გავერიდეო, ამ დროს გავარდა თოფი, მივხვდი, რაც მოხდა და გავიქეციო. თვითონ რაბლაც ჩახმახი მოერგო თოფისთვის, ვაშლის ძირში ხალიჩა დაეგო, შემოეტანა ხმალი, გადაეკიდა ფარი, სამელავენი, ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი. ხანჯალ-სარტყელი, აშურმანი, ყველაფერი ზედ ჰქონდა და ისე დაეკრა თოფიო. ამ ოჯახიდან ბაბუამ თოფი დაიკრა, გოგოთურმა თოფი დაიკრა, წათულამაცო (2,33-36).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის ალტრუისტული თვითმევლე-ლობები, ანუ სიბერისა და დაძაბუნების მიზტებით გამოწვეული სუიციდი, უძველეს ხალხებში ტრადიციას წარმოადგენდა. მაგალითად, დანიელი მეომრები სიბერით და ავადმყოფით (ანუ ლოგინში სიკვდილს) სირცხვილად მიჩნევდნენ და, ჩვეულებრივ, თავს იქლავდნენ. იგივე ტრადიცია მოწმდება თრაკილებშიც. ანალოგიური ვითარება იყო კელტებსა და ინდოელებშიც. ამდენად ხევსურეთის სინამდვილეში არსებული ალტრუისტული ტრადიციას ზემოხსენებული ხასიათის თვითმევლელობებს შესაძლებელია ტრადიციული ფესვებიც კი გააჩნდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხევსურებიც ზე-მოჩამოთვლილი ხალხების მსგავსად, მეომარი და აგრესულობით გამორჩეული

ახლა ყველა იყელა "(3,16). უკუათ, სიმაგრით, ბის დაცვით, ლებმა შვილით ნელინადს კუჭი სტყიოდი-რვა წლის თან რა საქმე ურჩიათ საქმე თავიანთი რი შენახათ, ბი ტირილით რ გამხდარიო კარა სოფელი ისახოელებმა ც გადამალეს ნასული. ა მის პატივ- საც მიახლი ექრანზე, ხელი იოფი, მიხვ- თვის, ვაშლის ენი, ჩაჩქანი, ინდა და ისე იფი დაიკრა, თვითმკვლე- დი, უძველეს სიბერით და ზეულებრივ, რი ვითარება ი არსებული საძლებელია ურებიც ზე- კამირჩეული

ეთნიკური ჯგუფია. ალტრუისტული თვითმკვლელობები კი, ე- დუკჰეიმის თანახმად, მხეთ ხალხებშია დაფიქსირებული, რომლებიც „არ ერიდებიან უზომო სისხლის ლერას და თითქოსდა ექბენ სიკვდილს“ რომელთათვისაც საზოგადოების წინაშე მა- მაკური მოვალეობის მოხდა ერთ-ერთ უმაღლეს მოვალეობად ითვლება. (5, 278).

ალტრუისტული თვითმკვლელობის მეტად გავრცელებულ ფორმას ხევსურეთში ნარმოადგენს სუიციდი საყავარელი ადამიანის დაკარგვის მიზეზით. ძირითადად თავს ულავენ ქალები ქმრის, შვილის, სწორფერის, ძმის სიკვდილის გამო. ალსანიშნავია, რომ მამაკაცთა შორის ამ საბაბით თვითმკვლელობა საკვლევ რეგიონში ნაკლებად შეინიშნება.

„ამლიონმა კურდლელათ გიგიამ დედა-დების გაჯავრებულმა თოფი დაიკრა. მას ცოლად ჰყავდა ჯუთელთ ქალი ძილა, რომელსაც ქმარი ძალიან უყვარდა. იმდენად, რომ კიდევაც დასცინოდნენ, ერთი პატარა ქალის მეტი შვილი არ ჰყავდათ. როდე- საც ძილამ მომაკვდავი ქმარი ნახა, უთხრა, - დაიცადე, შენ ეხლა გჭირდება მომვლელი და მეც მოვდივარო... ძილა ქმართან შევიდა, შვილი ზურგს უკან კედლისაცენ მიიმწყვდია, თოფის სასხლეტი ძაფით გიგიას ხელს მიამაგრა, შემოაყენა, მოსწია და ტყვია შიგ გულში მოხვდა, ბაყვევი ცოტა განზე განუულიყო და ტყვიამ შუხლის თავზე გაუარა, მსუბუქად დაიჭრა“ (2, 32-33).

„ოხერხეველი ძალიან კარგი ახალგაზრდა, თვალ-ტანადი, ყველაფრით გამორჩეული, მძიმედ დაჭრეს და ვერაფერს შველოდნენ. საცოლე ჰყავდა, სახ- ილოელი ქალი თიურა. ეს ქალი არც კი იყო საქმროს სახლში ნამყოფი, ისე იცნობდ- ნენ ერთმანეთს. რაიკი მიხა კვდებოდა, თიურაც ნაიყვანეს. იგი მოკრძალებით უვლი- და ავადმყოფს, მიხამ უთხრა თურმე – ქალო, ეს ტაგრუცი მე თორელთ დედიკას გავუკეთე, იმან ნაილოს. მომწონდა, თავკვირებულია და არ დამივიწყებს. შენ ბეჭედს მოგცემ. როცა ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი აღარ გიხდებოდეს, ჩემ თავს შენ თვალში სხვა დაეფაროს, მაშინ ეს ბეჭედი მოიტანე და შენი ხელით ჩემთან საფლავის მიწაში ჩამარხეო, სხვა ვალი არაფერი მაქვსო.

როცა გარდაიცვალა – თიურა ვერ იტირებდა, ქმარზე ტირილი სირცხვილია. დედამთილისათვის უთქამს – როცა მოვკედები მეც აქ დამმარხეთო.

– შენ თავს აქ არავინ დაგვამარხეინებს, ვინ იცის ქარი საით გაგიტაცებსო, – ყურადღება არ მიუქცევია მისი ნათევამისათვის დედამთილს. შესულა მკვდართან თიურა, მოუქრია თმები, ნანილი ხელში მოუცია მიცვალებულისათვის, ნანილი გულზე დაუფენია და მისი თოფი დაუკრავს, დედამთილი რომ შევარდნილა, კიდევ ცოცხალი ყოფილა:

– ვერ მომერია დედამთილო, ქარიო, – ამის თქმა მოუსწრია. (2,48).

1925 წელს არხოტს ქისტების ლაშქარი დაეცა. მაშინ ამდაში მოუკლავთ ყველა სიკეთით გამორჩეული მარაისძეთ დავითი, დაქვრივდა ახალმოყვნილი ცოლი, რომელმაც ქმრის სიკვდილის გამო მნუხარებას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.

ხევსურეთში ხშირად იკვლავდნენ თავს ახალგაზრდა ქალები ძმობილის სიკვდილის შემთხვევაში. (1, 18).

ბიძაშვილის სიკვდილის გამო თავი მოიკლა ზემოხსენებული გოგოთურის ძმისშვილმა და სხვ.

ცნობილია, რომ ხევსურული ტრადიციით მეტად მკაცრია გრძნობათა გამომულავნების კრიტიკიუმი. ქმრის მიმართ სიყვარულისა და სითბოს გამოხატვა, შეილის მოფერება და სხვა „ემოციური სისუსტეები“ ამ ეთნოგრაფიული ჯგუფი შეიღება ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხევსური ქალები, რომელი სათვის სირცხვილად ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხევსური ქალები, რომელი სათვის სირცხვილად ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხევსური ქალები, რომლებიც ძირი იყვნენ შეზღუდული გრძნობების გამოყლავნებაში, თავიანთ სიყვარულს სწორედ სასიკვდილო თავგანნირვით გამოხატავდნენ.

საერთოდ, ალტრუისტული ტიპის თვითმევლელობები საკვლევ რეგიონში სავ- მაოდ ხშირია. ანომიური ტიპის თვითმევლელობები ხევსურეთში თითქმის არ გვხვდება. როგორც ითქვა, ეს ტიპი გულისხმობს სოციალური ქვრების შედეგად გვხვდება. როგორც ითქვა, ეს ტიპი გულისხმობს სოციალური ქვრების შედეგად გვხვდება. ანომიური სუიციდის მაგალითები შედარებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ქალაქის ანომიური სუიციდის მაგალითები შედარებით ნაკლები იქნებოდა, როგორიც ხევსურული იყო და რღვევას, ამდენად, ისეთ ჩაკეტილ საზოგადოებაში, როგორიც ხევსურული იყო და რომელიც ინოვაციების მიმართ დიდი მედეგობით გამოირჩეოდა – ბუნებრივია, ანომიური სუიციდის მაგალითები შედარებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ქალაქის ანომიური სუიციდის მაგალითები შედეგად საჭაროგადოებაში, რამდენიმე ნონ საზოგადოებაში. ამ ტიპის თვითმევლელობას განეკუთვნება რამდენიმე ნონ საზოგადოებაში. ამ ტიპის თვითმევლელობას განეკუთვნება რამდენიმე ნონ საზოგადოებაში – მომხდარი შემთხვევა შატილში, როდესაც აქაურმა საუკეთესო ახალგაზრდამ – შატილის გამგებელმა მოულოდნელად მოიკლა თავი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩერნეთ-რუსეთის ომის შედეგად საჭაროგოში შატილის ხეობის გავლით შემოვიდა ათასობით ლტოლვილი, ამ პროცესმა როგორც სახელმწიფოთაშორისი, ასევე ათასობით დაბაბულობა გამოიწვია. ხევსურეთის ამ მონაკვეთში მიმდინარე მოვლელოკალური დაბაბულობა გამოიწვია. ხევსურეთის ამ მონაკვეთში მიმდინარე მოვლელოკალური და მათი დამარცხულირებელიც შატილის გამგებელი იყო, ნებებ პასუხისმგებელი და მათი დამარცხულირებელიც შექნილ სიტუაციისათვის, განყ- რომელმაც, სავარაუდოა, ვეღარ მოახერხა მოევლო შექნილ სიტუაციისათვის, განყ- და კავშირები ინდივიდსა და სიციუმს შორის, რაც ახალგაზრდა კაცის თვითმევლე- ლობით დასრულდა.

რაც შეეხება ეგოისტურ თვითმევლელობას, ამ ტიპის სუიციდიც არ ნარმოდგენს იშვიათობას ხევსურეთში, მაგრამ ალტრუისტულთან შედარებით ჩვენთვის ნაკლები შემთხვევაა ცნობილი. „ახიელელ ნარობაულთ მამუჯას ნათხოვი ჰყავდა ამლიონთ ქალი მაია. აქვე ბასილ ოჩიაურის ცოლი იყო მაიას ბიძაშვილი ნინო (ოთხი თაობით იყვნენ დაშორებული). მოხდა ისე, რომ მაიასა და ბასილს ერთმანეთი შეუყვარდათ. იყვნენ დაშორებული). მოხდა ისე, რომ მაიასა და ბასილს ერთმანეთი შეუყვარდათ. ბასილში ხმა გავარდა, ბასილი ცოლს თავს ანებებსო. ისიც ითქვა, რომ მაია ქმარს ხალხში ხმა გავარდა, ბასილი ცოლს თავს ანებებსო. ისიც ითქვა, რომ მაია ქმარს ხალხში ხმა გავარდა, ბასილი ცოლს თავს ანებებსო. ადგენენ ნორობაულები, მოიყვანეს მაია და (დანიშნულებული ითქმის) სწუნობსო. ადგენენ ნორობაულები, მოიყვანეს მაია და ჯვარი დასწრეს, მაგრამ საქმეს არაფერი ეწველა, ჩამოვარდა უსიამოვნება ბასილსა და ნინოს შორის. ქალმა მამასახლისთან იჩივლა. მლედელმა ბევრი ურჩია, რომ არ და ნინოს შორის. ქალმა მამასახლისთან იჩივლა. მლედელმა ბევრი ურჩია, რომ არ გაყრილიყვნენ, მამასახლისმა კი ბასილს დაუჭირა მხარი – ბალით ცოლ-ქმრობა არ შეიძლება, თან არც შვილები ჰყავთო. გართულდა საქმე, მამუკა მაიას თავს არ ანებებდა, იცოდა, რომ ის ბასილს გაჰყვებოდა, რაც გვარისათვის დიდი სირცხვილი ანებებდა, იცოდა, რომ ის ბასილს გაჰყვებოდა, რაც გვარისათვის დიდი სირცხვილი ანებებდა, ანებებდა, იცოდა, რომ ბასილი მასთან ალარ იცხოვრებდა, ამდის იყო. როდესაც ნინო დარწმუნდა, რომ ბასილი მასთან ალარ იცხოვრებდა, ამდის იყო. როდესაც ნინო დარწმუნდა, რომ ბასილი მასთან ალარ იცხოვრებდა, რომ თუ ბოლოს ნყალში გადავარდა და თავი მოიკლა, ეს უფრო იმიტომ ჩაიდინა, რომ თუ თავს მოიკლავდა, ბერდიშვილები მაიას ბასილს ალარ გაატანდენენ, როგორც მევლელობაში გარეულს... (2,65).

ხევსურეთში დავაფიქსირეთ თვითმევლელობის იმგვარი ტიპი, რომელიც არ თავსდება საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის ჩარჩოებში, მას თუმცა

გააჩნია ეგო განსხვავდე სოფე საბოსლოშ ჩამოიხრჩო მყოფ დედა ბული ესვე ქათიბი. (3) ახალგ გააფუტა, მ სრულ ქალიშვილ განზრახვითი მსგავს ტური სუი მაგრამ თუ განვეტა თ თვითმევლ ბრივი ლირ რეალიზაცი ვიდის იმო ვერ მოხდ მოითხოვს თვითმევლ განსაზღვრ დინამიურ ჩვენს დროის უმ შესაძლებე ფიქტური გადოებას ც ციდის ახალ საყვა აღმოჩნდებ სამუშაო ჟ გეგმას, სახ ნის მისაძ ტემას გვე შემთხვევა თვითმევლ საზოგადო

გააჩნია ეგოისტური სუიციდის მახასიათებლები, მაგრამ ძირითადად მისი არსისაგან განსხვავდება.

სოფელ შატილში მამა გაუჯავრდა ქალიშვილს. აქ რას აკეთებ, რატომ საბოსლოში არ წახვედი და დედას არ მოეხმარეო. შეურაცხყოფილმა გოგონამ თავი ჩამოიხრჩო. გარდაცვლილის ბიძაშვილი ქალის მონაყოლით, როდესაც საბოსლოში მყოფ დედას შვილის ამბავი შეატყობინეს, იგი შევიდა იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა. მკაცრად გადახედა და ზედ მიაგდო საბოსლოდან წამოლებული მისი ქათიბი. (3)

ახალგაზრდა ქალმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უნებურად ჰაერი გააფუჭა, შერცხვენილმა და თავმოყვარეობაშელაბულმა მანაც თავი მოიკლა.

სრულიად უმიზებოდ მოიკლა თავი სილამზით გამორჩეულმა არხოტელმა ქალიშვილმა ახალუხალმი, ლხინისა და საზეიმო განწყობილების დროს, მხოლოდ იმ განზრახვით, თუ რა ეფექტს მოახდენდა ტოლ-სწორებზე მისი ეს ნაბიჯი.

მსგავსი მაგალითები ბევრია ხეგსურთა ყოფაში. ამ დროსაც, მსგავსად ეგოისტური სუიციდისა, პიროვნების ინდივიდუალიზაცია უკიდურეს ზღვარს აწევს, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში საზოგადოებასა და ინდივიდს შორის კავშირის გაწვეტა უფრო ყოფითი მიზებით არის გამონვეული, მეორე შემთხვევაში თვითმკვლელობის საბაბი მთილთა ფსიქიკური წყობის თავისებურებებსა და ზნეობრივი ღირებულებების სისტემაშია საძირებელი. ეგოისტური თვითმკვლელობის აქტის რეალიზაციისათვის საჭიროა გარეული დროის მონაკვეთი, რათა მოხდეს ინდივიდის იზოლაცია სოციუმისაგან (რაც ბუნებრივია ვერც წამებში და ვერც საათებში ვერ მოხდება). მაგ. უიმედო სიყვარული მისი გაცნობიერებისათვის დროს მოითხოვს, ასევე სიღატაკე უცად არ წარმოიშვება და სხვ., ალტრუისტული თვითმკვლელობის დროსაც ინდივიდს თავისი მდგომარეობის გასაცნობიერებლად განსაზღვრული პერიოდი ესაჭიროება. მაგ. მოხუცებულობა ორგანიზმის დაბერების დინამიკური პროცესია, ავადმყოფობა და უძლურობაც ასევე ერთბაშად არ მოდის.

ჩვენს მიერ ზემოსხენებული განსხვავებული ტიპის თვითმკვლელობები კი დროის უმცირეს მონაკვეთს საჭიროებს, რათა ინდივიდმა გადაწყვეტილება მიიღოს. შესაძლებელია აქ აფექტური მომენტი ჭარბობდეს, რომელიც ასევე ადამიანის ბიოფსიქიური წყობით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში აქ არ ჩანს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის კავშირების რღვევისათვის აუცილებელი პერიოდი. ამ ტიპის სუიციდის ახსნა, უპირველეს ყოვლისა ეთნოსის ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როდესაც სუბიექტი გარკვეულ სიტუაციაში აღმოჩნდება, მისთვის ღირებულებითი ორიენტაცია სიტუაციის ხედვის ერთგვარ სამუშაო კონცენტრიად იქცევა. პიროვნება ადგენს თავისი მოქმედების სამომავლო გეგმას, სახავს მოქმედების გზებსა და მიზნებს და ამავე დროს საშუალებებს ამ მიზნის მისაღწევად. ამდენად სუიციდის აქტებზე მსჯელობისას ღირებულებათა სისტემას გვერდს ვერ ავუკლით. საერთოდ, ნებისმიერი ტიპის თვითმკვლელობების შემთხვევაში მათი როლი მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია. ბოლოს განხილული თვითმკვლელობების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემხვევაში წარმმართველი საზოგადოების მორალ-ფსიქიური ღირებულებები და ნორმები უნდა იყოს. აქ

ნორმები.
ტორად მ

ვფიქ
ციდის ა
შექმნის,

1. ბ
2. ბ
3. თ
4. ბ
5. დ

СПБ., 191

ETHNO

В Гру
исследова
в Хевсур
альтруист
основном
в XIX и в
В Хев
в рамках
считать т

სოციალური მომენტები უკანა პლანზეა გადაწყვლი. როდესაც მამა უჯავრდება ქალიშვილს, და ეს უკანსკნელი თავს იკლავს – ამ დროს პირველადი სწორედ მორალურ-ფსიქიური ღირებულებანია. იგივე შეიძლება ითქვას მამინაც, როდესაც ახალგაზრდა ქალი თავს სრულიად უმიზოდ იკლავს. ამგვარად თუ ამ ღირებულებებს ერთ შემთხვევაში პირველადი დატვირთვა არ გააჩნია, სხვა შემთხვევაში მათ სუიციდის აქტის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ.

როგორც ვთქვით, დურკპეიმის აღიარებული თეორიის მიხედვით, რაც უფრო ინტეგრირებულია რელიგიური თუ ოჯახური საზოგადოება, მით უფრო ნაკლებია თვითმკვლელობის აღბათობა, რასაც ვერ ამტკიცებს ხევსურული სინამდვილე. არც რელიგიური და არც ოჯახური საზოგადოება, რომელიც საკვლევ რეგიონში ინტე-გრაციის მაღალი ხარისხით გამოიჩინება, არ ნარმოდებანს ბარიერს სუიციდის ხშირი შემთხვევებისათვის.

ცნობილია, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა თავისი დოგმებით ყველანაირად ენინააღმდეგება სიცოცხლის თვითნებურ მოსწრავებას. თვითმკვლელს უზიარებლად მარხავენ, ხოლო საიქიო ცხოვრების ნეტარებანი მისთვის მიუწვდომელია. ხევსურთა რწმენით, სამზეოს გაყრილთ მარადიული ერთად ყოფნა ელით. ქრისტიანული თვალსაზრისით კი თვითმკვლელი ამ შესაძლებლობას მოკლებულია, სასონარკვეთილი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი თავს სწორედ იმიტომ ვერ იკლავს, რომ სნამს – იგი საიქიოში ვერ შეხვდება თავისიანს. ხევსურისთვის ეს მომენტი უცხოა, იგი იმიტომაც იკლავს თავს, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებაში საყვარელ ადამიანთან იყოს. სწორედ აქ ირლვევა სოციოლოგთა მიერ აღიარებული უკუპროპორციული წონანორობა სუიციდსა და საზოგადოებას შორის.

სუიციდის ჩამდენთათვის დაბრკოლებას არ ქმნის ხევსურული ოჯახის შეკრულობა და ტრადიციები. საყოველთაოდ აღიარებული ფორმულის თანხმად, ხევსურეთში არ უნდა აღინიშნებოდეს თვითმკვლელობათა ისეთი რიცხვი, როგორიც ამ კუთხეში ფიქსირდება. ნათელია, რომ ჯგუფის ინტეგრაციის მაღალ დონეს, რაც ხელს უშლის სუიციდის აქტების ინტენივობას, ხევსურეთში ისეთი ფენომენი უპირისპირდება, რომელიც თავისი არსით უფრო მძლავრი ჩანს და არღვევს ზემოხსნებულ კანონზომიერებას. რა უნდა იყოს სოციალური ხასიათის ფენომენები უფრო ძლიერი? ჩვენი ვარაუდით, იგი ეთნო-ჯგუფის ზნეობრივ ღირებულებათა და ფსიქიური წყობის თავისებურებებში უნდა მდგომარეობდეს.

და ბოლოს, შეიძლება დაგასკვენათ, რომ ხევსურეთში გვხვდება სოციოლოგების მიერ საყოველთაოდ მიღებული სუიციდის სამიერ ტიპი: ეგოისტური, ალტრუისტული და ანომიური. ამათგან პროცენტულად მეტია ალტრუისტული სუიციდი. შემდეგ ეგოისტური და ბოლოს, ანომიური. ანომიური თვითმკვლელობანი ფაქტობრივად არ დასტურდება XIX ს და XX ს-ის პირველ ნახევარში, საკვლევ რეგიონში ფიქსირდება სუიციდის იმგვარი ტიპიც, რომელიც ზემოხსნებული კლასიფიკაციის ჩარჩოებში ვერ თავსდება, ეს მომენტი საყურადღებოა იმითაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთურ საზოგადობათა ორიგინალური ხასიათი ამ სფეროშიც იჩენს თავს. ამ ტიპის თვითმკვლელობებს განაპირობებს მათი ტრადიციები და ზნეობრივ-ეთიკური

ნორმები. საერთოდ რეგიონში სუიციდის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად მთიცელთა ეთნიკური ფსიქოლოგია უნდა ჩაითვალოს.

ვფიქრობთ, რომ საკითხის ფსიქოლოგიური პოზიციებიდან კვლევის გარეშე სუიციდის ეთნო-სოციოლოგიური ასპექტის შესწავლა სრულყოფილ სურათს ვერ შექმნის, ამიტომ ძიება შემდგომ ეტაპზე ამ მიმართულებით უნდა ნარიმაროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაური ნ., სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.
2. ბალიაური ნ., ხევსურული ქრონიკები, თბ., 1995.
3. ოჩიაური თ., „ერთ უვიც ტყვიას როგორ ანდევი შენი ფიქრები და სიქალ-ნულე“ „ახალი დვრიტა“ 2000, №15.
4. Бэрон Р. Ричардсон Д. Агрессия., СПб., 2000.
5. Диоркейм Э. Самоубийство, социологический этюд / изд. Карабасникова СПБ., 1912.

Натиა Джалаабадзе

ЭТНО-СОЦИОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ СУИЦИДА В ХЕВСУРЕТИ

Резюме

В Грузинской этнографии проблема суицида никогда не становилась объектом исследования. Изучение проблемы с этно-социологической позиции показало, что в Хевсурети встречаются все три типа суицида, выявленные социологами: альтруистический, эгоистический и аномический. В процентном отношении в основном происходят самоубийства альтруистического типа. Аномический суицид в XIX и в первой половине XX века фактически не встречается.

В Хевсурети зафиксирован оригинальный тип суицида, который не вмещается в рамки существующей классификации. Обуславливающим его фактором следует считать традиции морально-этические нормы и этническая психология горцев.

სალომე პახია-ოძრუაშვილი

თავისებრივი და გრაფიკული განვითარების შეზღუდვები

დაკრძალვის ჩვეულება და მასთან დაკავშირებული გლოვის საწესო რიტუალი ყოველი ეთნიკური ნარმონაქმნისათვის ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ადამიანის სიკვდილი, მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გაცილება და დაკრძალვა ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტად აღიქმებოდა. დაკრძალვის წესები გულისხმობდა მოსახლეობის მიერ დაკრძალვის რიტუალის გარკვეული ფორმის დაცვის პრაქტიკას და საფლავის ფორმის ან მიცვალებულის შენახვის სხვა სახეს, რომელსაც განაპირობებდა გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიცვალებულისადმი დამოიდებულება და მისი რელიგიური მრწამი.

უძველესი დროიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე დაკრძალვის სხვადასხვაგვარი ნესი არსებობდა. მათი ადრეული ფორმის შესახებ მსჯელობისათვის უძველეს და უმთავრეს წყაროს, ცხადია, არქეოლოგიური მასალა ნარმოადგენს. არქეოლოგების მიერ განხილულია სხვადასხვა ტიპის ორმო სამარხები, ქვევრსამარხები, ქვასამარხები, დუღაბითა და კირხსნარით შეღესილი ორმოები და სხვა ტიპის სამარხები (მ. ივაშჩენკო, ბ. კუფტინი, მ. ტრაფში, ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. პაპუაშვილი...). არქეოლოგებმა თავიდანვე გაა-მახვილეს ყურადღება ისეთ საძვალე ორმოებზე, რომლებშიაც მეორადი დაკრძალვა იყო დადასტურებული [24. 63-64; 31. 178-189; 37. 98-113; 38. 32-33, 45, 149; 34. 46; 9. 13-20; 11.55-61] გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული მეორადი დასაფლავების ამ ფორმას უთუოდ დაკრძალვის პირველი ეტაპი უსწრებდა ნინ, რომლის კავშირი მინასთან გამორიცხული იყო [9. 16]. ასეთ ჩვეულებას სამეცნიერო ლიტერატურაში ჰაერზე დაკრძალვის სახელწოდებით, უძველეს წერილობით წყაროებში ვხვდებით. მეორადი დაკრძალვის არქეოლოგიურმა ფაქტებმა და წერილობით წყაროებში შემონახულმა ცნობებმა ერთმანეთი შეავსო. თ. მიქელაძე შენიშნავს: „რომ არ აღმოცენებულიყო კოლხეთში ასეთი სამაროვნები, ძნელი ნარ-მოსადგენი იქნებოდა შემდგომი ეტაპი მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების არსებული ჩვეულებისა და პირიქით. ასევე გაძნელდებოდა დადგენა, რა უსწრებდა ნინ კოლე-ქტიურ სამარს ორმოებში ნივთებისა და ... მრავალი ინდივიდის ძვლების ერთდროულად დაფლვას“ [9. 17]. წერილობითი წყაროების საშუალებით ეს ჩვეულება თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში დაფიქსირდა: პირველად – ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს და მეორედ – ახალი წელთაღრიცხვის XVII-XVIII სს-ში.

კოლხეთში მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვის შესახებ პირველ ცნობას ძველი წელთაღრიცხვის III ს-ის ბერძენი მნერალი აპოლონიოს როდოსელი გვაწვდის, რომელიც ელინისტური ხანის მეცნიერი და ეპიკოსი პოეტიც იყო. მისი „არგონავტი-

კა” [1. 121 და შემდგომი] იმ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელშიც ძველი კოლხების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ყოფის სხვადასხვა ელემენტებთან ერთად მოცემულია საყურადღებო ხასიათის მონაცემები დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესახებ. იგი აღნერს „კირკეონის* ველს, სადაც „ფაზისის ფართო ლერწმნარ ჭაობში” [1. 121-122] იასონმა და მისმა თანმხელებმა პირებმა დაინახეს საოცრება. – „მაღლა ტოტებზე თოკით მიკრული გვამები მიცვალებულთა”. შემდეგ ავტორი გვამცნობს: „კოლხებს დღესაც კი თავზარს სცემთ და ცოდვად მიაჩნიათ გვამების დაწვა, არც შავ მინაში მარხავენ კაცსა, რომ ზედ ყორლანი აღმართონ მერე, – ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და მერე ჰყიდებენ მაღლა ხეებზე, მყუდრო ჭალებში, ქალაქებრეთა. მაგრამ ჰაერის კიდევან მინაც იღებს თანაბრად იქ თავის ნილსა, რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან მინის ნიაღში აძლევენ ბინას” [1. 210].

უფრო მოგვიანებით ამ ცნობას კოლხების შესახებ იმეორებენ ჯერ ნიკოლოზ დამასკელი – ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში თავის „ზეჩჩეულებათა კრებულში” [1. 210] და კლავდიუს ელიანუსი – ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში – „ნაირნაირ ისტორიებში” [1. 210; 13. 127]. ორივე ავტორის ნაშრომების სათაურები მოწმობს, რომ ასეთ თხზულებებში, ჩვეულებრივ თავს უყრიდნენ ცნობებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მოარული ხდებოდა და ბერძენ მვითხველისათვის უჩვეულო ამბებს შეიცავდა. სპეციალისტების აზრით, კოლხთა დამარხვის შესახებ ამ ცნობას კლავდიუს ელიანუსი ნიკოლოზ დამასკელის, ხოლო ეს უკანასკნელი აპოლონიოს როდოსელს დაესესხა. აპლონიოს როდოსელის სქოლიასტის შენიშვნის თანახმად კი ცნობილი ხდება, რომ ავტორი ნიმუშოდოროს სირაცხულის (ძველი წელთაღრიცხვის III ს პირველი ნახევრის მოღვაწე) ცნობებს ეყრდნობა [13. 76]. ე.ო. სამიცე ავტორის ძირითადი წყარო ძველი წელთაღრიცხვის IV ს-ის დასასრულისა და III ს დასაწყისის თხზულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII ს რეალობას ასახავს [13. 76; 4. 58-59]. აპოლონიოს როდოსელის დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი სამეგრელოში, ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულების გვერდით მოქმედებდა ინჟერაციის წესიც. არქეოლოგების მიერ გახსნილ იმდროინდელ სამარხებში აღმოჩენილი იყო, როგორც ქალების, ისე მამაკაცების ძვლები. რადგანაც არგონავტები ხეებზე დაყიდებული მთოლოდ მამაკაცთა გვამების თვითმხილველები გახდნენ, საფიქრებელია, რომ ეს ჩვეულება ზოგ რეგიონში გაქრობის პირას შეიძლება ყოფილიყო, ზოგში დაკარგული, ხოლო კოლხეთის ამ ნაწილში კი ნაწილობრივ შემორჩენილი. ამის დამადასტურებელია თვით აპოლონიოს როდოსელის ტექსტი, სადაც ნათქვამია, რომ მამაკაცისაგან განსხვავებით, ქალებს მინაში ფლავდნენ.

ახალი წელთაღრიცხვის XVII ს დასაწყისში აფხაზებში ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება პირველად ჯიოვანი ლუკამ აღნერა, რომელიც ამ წესის თვითმხილველი გამხდარა ბიჭვნითაში. მისი აღნერილობიდან ჩანს, რომ აფხაზები ხის მთლიანი

* კირკეონი – ველი ძვ. კოლხეთში, რომელზედაც მდ. ფაზისი (თანამედროვე რიონი) მიედინებოდა. ქ. კირკეუმი დასახელებული აქვს მდ. ფაზისის ნაპირას პლინიუსსაც [6. 48].

მორი
მაღად
ანალა
„აფხა
როდ
ლერო
ჩამოს
მიცვა
ევლი
სახის
სახელ
არის,
(გაცვა
ნახვი
ქართ
ძველ
სარწი
„ვით
იარა
უკეთ
786].
გარდ
საეიდ
ძველ
იგულ
თავი
ეთნი
იფა)
ნელი
აფხაზ
ბიჭვ
დაცრ
ადამი
ტრად
ის გ
დაცვ
რომი
სიტყ

მორიდან გამოჩორენილ კუბოებში ასვენებდნენ მიცვალებულს, შემდეგ ტყეში ოთხ მაღალ სარზე მიმაგრებულ ფიცარნაგზე შემოფამდნენ და იქ ტოვებდნენ [23. 492]. ანალოგიურად ალწერს ამ წესს XVII ს 20-იანი წლებისათვის არქანჯელო ლამბერტი: „აფხაზებს აქვთ ერთი შესანიშნავი ჩვეულება, სახელდობრ ის, რომ მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგის წესით: გამოლარავენ ხის ლეროს კუბოს მსგავსად, შეგ ჩადებენ მიცვალებულს და გზის მაგარი ლერწებით ჩამოჰკიდებენ ხის წვეროზე. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებდნენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა“ [2. 155-156]. თურქი მოგზაური ევლია ჩელები ამავე საუკუნის 40-იანი წლებისათვის ამ ჩვეულებას უკვე შეცვლილი სახით აღწერს. მისი გადმოცემით, ამ დროისათვის აფხაზები, რომლებსაც აპაზგების სახელით მოიხსენებს, ჰაერზე მხოლოდ „ბეგის“ გვამებს კრძალავდნენ: „უცნაური ის არის, რომ ეს აპაზას ტომი ხშირად თავიანთ ბეგის გვამს ზანდუკის მსგავსად (გაკეთებულ) ხეში დებს. ამას დიდი ხის წვერზე ორკაპა ტოტზე მიაჭედებს, თავთან ნახვრეტს გაუკეთებს და ასე ტოვებს“ [3. 104]. ცოტა მოგვიანებით, XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი იმეორებს ნინამორბედი ავტორების ძველ ტრადიციულ არწერილობას. მისი გადმოცემით, აფხაზები, რომლებიც სარწმუნოებით „ქრისტიანი“ იყვნენ „არღარა მონობენ რჯულსა“ [12. 785]. ისინი „ვითარუ კერპნი... არა დაპფლავენ მყვდართა თუსთა, არამედ მისთავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა და უკეთუ შტვენს მყვდარი იგი ეშმავისა მიერ, სნამთ განსვენებულად მერმესა მას“ [12. 786].

ჰაერზე დაკრძალვის ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ძირითადად ერთ მიზანს – გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვას ემსახურებოდა, მაგრამ, ვიფირობთ, დასმული საკითხის კვლევისათვის საჭიროა დაზუსტდეს და დასაბუთდეს ვის ეკუთვნოდა ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს კოლხებში გავრცელებული ეს ჩვეულება და ვინ იგულისხმება იმდროინდელ კოლხებში.

კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურისა და ყოფის თავისებურებების ამსახველი ეს ჩვეულება მეცნიერთა დიდმა ნაწილმა მევიდრ ეთნიკურ ქართველურ ტომებს დაუკავშირა, ხოლო აფხაზმა (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალივა) და ზოგიერთმა რუსმა მეცნიერმა (გ. ჩურსინი ...) აფხაზებს, რადგანაც ახალი წელთაღრიცხვის XVIII ს. და შემდგომი საუკუნეების წყაროებმა ეს ჩვეულება სწორედ აფხაზებში დაადასტურა.

გ. ჩურსინი ფიქრობდა, რომ აფხაზებმა XIX ს ბოლომდე შემოინახეს ჰაერზე დაკრძალვის ეს წესი, რომელიც ადრინდელისაგან განსხვავებით, მეხდაცემული ადამიანის და ცხოველის დაკრძალვის იმიტაციით გამოვლინდა. იგი წარმოადგენს ტრადიციული ფორმისა და თანამედროვეობის შერწყმის მაგალითს. ასეთი ადამიანის გვამს და ცხოველის ლეშს ტყეში, ფიცარნაგზე ტოვებდნენ. მეხისაგან გარდაცვლილი ადამიანიცა და ცხოველიც აფხაზებისათვის წმინდანებად ითვლებოდნენ, რომლის დატირება არ შეიძლებოდა ჭექა-ჭუხილის ლვთაების – აფი-ს (აΦ= სიტყვით – მეხი) განაწყენების შიშით [39. 203-204].

ზ. ანჩაბაძის ვარაუდით „კავკასიის ზღვის სანაპიროზე XVII ს ფიქსირებული და ათასწლეულის ნინ კოლხებში დამონტებული ჩვეულება დაკავშირებულია აფხაზების ნინაპრებთან, რომლებიც ადრეანტიკური ხანიდან ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და დღესაც განაგრძობენ ცხოვრებას“ [18. 180-181]. მისი აზრით, ეს ჩვეულება აფხაზეთში აფხაზების ავტოქტონობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია [18. 183]. ეს აზრი გაიზიარა შ. ინალ-იფამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ XVII ს-ის აფხაზებში დადასტურებული ჰაერზე დაკრძალვის წესი ისეთ მნიშვნელოვან ფაქტზე მიუთითებს, როგორიცაა კოლხებისა და აფხაზების ნათესაობა. რასაც, მისი აზრით, არასაკმარის ყურადღებას ანიჭებენ მკვლევარები [26. 547].

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულის წერილობითი წყაროები (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი ...) კოლხეთის ტერიტორიაზე აფხაზების ნინაპარი ტომების ბინადრობას არ აფიქსირებენ. ძველი ავტორების ნაშრომებში დაცული სხვადასხვა ცნობის ანალიზის შედეგად ადრეანტიკური ხანის უმეტეს მკვლევარს, მიაჩნია, რომ დღევანდელი აფხაზეთის მინანყალზე მხოლოდ ქართველური მოსახლეობა იქნა დადასტურებული (კოლხები, კორაქსები, მესხები და სხვ.). სხენებულ ხანაში, როგორც ჩრდილო კოლხეთის მთისნინა, ისე სანაპირო რეგიონებში პოლიტიკურად და ეთნიკურად წამყვანი ადგილი კოლხურ (კოლხები, კოლები, კორაქსები ...) ელემენტს ეჭირა, რომელიც ამ ტომების გამაერთიანებელი ტერმინი იყო [25. 62-63]. ჩრდილო კოლხეთის მატერიალური კულტურაც თავისი ფორმითა და დამზადების ტექნიკით სხვა ქართველი რეგიონების მასალის ანალოგიურს წარმოადგენდა, ამასთან ამ რეგიონის მოსახლეობა კოლხური კულტურის გავრცელების არეალში იყო მოქცეული [25. 62].

არგონავტების თქმულებაში დაცული ჩვეულების აღნერის დროისათვის, ძველი წელთაღრიცხვის VI ს-დან I ს-მდე კოლხეთის სახელმწიფო კავკასიონის ქედიდან დღევანდელი ქ. ტრაპეზუნდის რაიონამდე ვრცელდებოდა [33. 237; 7. 2-35], სადაც კოლხებისა და კოლხური ტომების გარდა სხვა ქართველური ტომებიც სახლობდნენ. კოლხები ცხოვრობდნენ ქ. დიონსკურიის (ქ. სოხუმი) გარშემო და სამხრეთით მდ. აფსარამდე (მდ. ჭორობი); ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბზიფამდე კოლხური ტომები - კოლები (კოლიები) და კორაქსები. მდ. ბზიფიდან ქ. ტუაფსემდე ჰენიოხები (რომელთაც მევლევარები უმეტესად ქართველურ ტომებად მიიჩნევენ). ჩრდილოეთით ხეობებში სახლობდნენ ეთნიკურად გაურკვეველი კერკეტები და ქართველური ტომი მესხები. მათგან აღმოსავლეთით, კოლხების ზემოთ, ასევე მთის ხეობებში სვანური ქართველური ტომი და სხვ. [35. 117]. მთიან ზოლში მცხოვრებ კერკეტებს შორის, სხვა ჩრდილო-კავკასიურ მთის ტომებთან ერთად ჩერქეზულ-ადილეურ ტომებსაც გულისხმობენ [14. 47], რომელთა დამკვიდრებამ კავკასიის ქედთან ახლოს და შემდგომ გააქტიურებამ გამოიწვია დიდი ეთნიკური ძვრები და ეთნიკური რუკის შეცვლაც. კერკეტების ადგილს იკავებენ ჯიქები, ხოლო ჰენიოხების აღმოსავლეთით ინაცვლებენ კერკეტები, მესხების გვერდით [25. 71; 35. 119-120]. ამრიგად, არც ეთნიკურად, არც ისტორიულად და არც კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით კოლხეთთან აფხაზების პირდაპირი კავშირი ამ დროს არ დასტურდება [25. 69 და შემდეგ; 35. 115-117]. აქედან გამომდინარე არგონავტების

თქმულებაში ასახული დაკრძალვის წეს-ჩვეულება კოლხებში ე.ი. ქართველურ ტომებში უნდა ყოფილიყო ფიქსირებული.

მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის | ს-ის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაშე აქვთ უნდა უფრო უძველესი მანძილზე მიიჩნეოდნენ თანამედროვე აფხაზების უძველეს წინაპრებად. საყურადღებოა, რომ მიიჩნეოდნენ თანამედროვე აფხაზების შედეგად აფსილები (აფშილები) მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ დასავლეურ-ქართულ ტომად, რომელსაც არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან ჩამოსახლებულ აფსუებთან [10. 17-23]. მკვლევარები ვერ თანხმდებან იმ საკითხში, რომელიც წყაროებში ამ ტომების დასახლებასა და მათ რეალურ გამოჩენასთანაა დაკავშირებული. 6. ლომოური აფხაზების წინაპრების არსებობას დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე წერილობით წყაროებში მათ აღნუსხვასა და „ფიგურირებაზე“ ადრეც მიიჩნევს დასაშვებად [32. 93]. თავისთვის ცხადია, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა იმ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რომელიც წყაროებში ამ ტომებზე პირდაპირი მითითებების უქონლობითაა გამოწვეული. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ამ აზრის დამადასტურებელი ცნობები არ არსებობს. ძველ წყაროებში დასახლებული სატომო ერთეულები უმეტესად დაკავებული ტერიტორიის მიხედვით არიან ჩამოთვლილი, ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული პოლიტიკური გავლენის მქონე ყველა ეთნიკური გაერთიანება უნდა მოხვედრილიყო ავტორთა თვალსაწირები. ჩზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ საკითხებზე არსებული ლიტერატურა და მკვლევართა უმეტესობის აზრი საფუძველს გაბაძლებს ვიფიქროთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის | ს-მდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზების წინაპრები არ სახლობდნენ. აქედან გამომდინარე, აპოლონიოს როდოსელის თხზულებაში აღნერილ უძველეს წეს-ჩვეულებებთან კავშირი სწორედ კოლხებს – ქართველურ ტომებს უნდა ჰქონოდათ. აღნერილი ჩვეულება „არგონავტების“ მიხედვით დადასტურებულია თანამედროვე ზუგდიდის რაიონში, მდ. რიონის ველზე, სადაც არც ისტორიულად, არც წყაროების მოწმობით და არც მინიშნებით აფხაზების წინაპრებს არ უცხოვრიათ. აპლონიოს როდოსელის ტაქსტის მიხედვით, მიცვალებულის გვამებს კოლხები ჰკიდებდნენ „მყუდრო ჭალებში, ქალაქები“. აფხაზებისათვის კი და მითუმეტეს მათი წინაპარი ტომებისათვის ქალაქები XX ს-მდე დამახასიათებელი არ ყოფილა. პროკოფი კესარიელი აპაზების შესახებ საუბრისას VI ს გვაროვნულ თემებად მათ გორებზე ცხოვრების წესები მიუთითებს [13. 160]. ქალაქი რომელზედაც ლაპარაკია „არგონავტების“ სავარაუდოდ თანამედროვე ზუგდიდი უნდა იყოს, რომელიც არასოდეს აფხაზური არ ყოფილა. აფხაზურ ენაში ქალაქის ცნების აღმნიშვნელი სიტყვა ქართულიდანაა შესული – ა-ქალაქ.

მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ არქეოლოგიური კვლევის შედეგად წარმოდგენილი სურათით აფხაზეთში მეორადი დაკრძალვის შემთხვევები დადასტურებულია ექვერაში [24. 63-64; 31. 178-189], გუადიხუს, ჯანტუხისა [38. 32-33; 45], ყულანურხვისა და წითელი შუქურის [37. 98-113; 38. 149 და შემდეგ].

სამაროვნებზე, რომლებიც ტიპოლოგიურად მკვეთრად არ განსხვავდებიან ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებისაგან. მაგრამ მთავარი ის არის, რომ უმეტესობა მსგავსი სამაროვნებისა ცენტრალურ კოლხეთშია თავმოყრილი (მაგ. ნიგვზიანი, ერგეტი №1, მუხურჩა, პალური, ურეკი [9. 14-16]; კურზუ, სალხინო, ფიჩორი, ერგეტი №2, ერგეტი №3, ერგეტი №4, დღვაბი, გორაძირი და სხვ. [11. 55-61]. ერგეტი №2, ერგეტი №3, ერგეტი №4, დღვაბი, გორაძირი და სხვ. [11. 55-61]. როგორც ჩანს ახალ წელთაღრიცხვამდე ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელ დასავლეთ კავკასიაში. ახალი წელთაღრიცხვებს I-II სს ქართველურ ტომებში ქრისტიანობის ინტენსიურად გავრცელებამ, ამ ჩვეულების თანდათანობით დაკარგვა გამოიწვია. ცნობილია ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის სამისიონერო მოღვაწეობის და ამ უკანასკნელის საფლავის აფხაზეთში არსებობის ფაქტი [15. 28]. მართალია, ქართველურ ტომებს ახალი წელთაღრიცხვის III ს-შიც ჯერ კიდევ ჰქონდათ კავშირი წარმართულ სამყაროსთან (ბიჭვინთის ნაქალაქარზე წანილობრივ წარმართული სასაფლაოებიც ჩანს), მაგრამ ამ დროისათვის ქრისტიანული წესით დასაფლავება უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო. წარმართული და ქრისტიანული სასაფლაოების მკვეთრი გამიჯვნა მონლოდ V-VI სს დაიწყო [8. 156], როდესაც, ჩვენი ვარაუდით, ჩრდილო კავკასიონიდან ადრე შემოჭრილმა პირველმა უცხო ეთნიკურმა ტალღამაც გაქრისტიანება დაიწყო.

ასევე არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ აფხაზებს დაკრძალვის ეს ჩვეულება უცვლელი სახით შემოენახათ უძველესი დროიდან XVIII-XIX სს-მდე, რადგან ისინი საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული მოსახლეობის გარემოცვაში ცხოვრობდნენ. I-II საუკუნეებში ჩრდილო კავკასიოდან სამხრეთ ფერგანებისაკენ ჩამონაცვლებულ ახალ, არამყარ, ამ პერიოდისათვის სატომოდებისასაც გაერთიანებებს, გაქრისტიანებასა და შემდგომად პოლიტიკურად „გაქართებასთან“ ერთად უარი უნდა ეთქვათ ჰაერზე დაკრძალვის წესზე. ამაზე უნდა მეტყველებდეს XVII ს-მდე უცხოურ და ქართულ წყაროებში ამ მნიშვნელოვანი მომენტის ამსახველი მონაცემების არარსებობა. ძველ საზოგადოებაში „იმქვეყნიურ“ ცხოვრებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ასეთი განსხვავებული და გამორჩეული წესი შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ არც უამთააღმენერლებს და არც მოგზაურებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აფხაზების ადრეული წინაპრები და XV საუკუნისა და შემდგომი საუკუნეების მიგრაციული მოსახლეობა, თუმცადა ჩერქეზული და განსხვავდებოდა. XV ს-ში ადილეური ტომები მართალია, კვლავ დაქსაქსულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ცალკეული მცირე ეთნიკური ჯგუფები უკვე ჩამოყალიბებული იყო, რომელიც ერთმანეთისგან ენით, თუნდაც დიალექტით, თვითშეგნებით განსხვავდებოდნენ. XVII ს ადილე-ჩერქეზეთში ჯერ კიდევ მყარად ტრადიციულ ურთიერთობებში აისახა XVII ს მეორე ნახევარში დასავლეთ ტრადიციულ ურთიერთობებში აისახა – მინაზე სათემო ჰქონდა ფესვი გადგმული პატრიარქალურ-თემურ ურთიერთობას – მინაზე სათემო საკუთრებას, მმართველობის უმაღლეს ორგანოს – სახალხო კრებას, სისხლის აღებას და სხვ. [14]. ამ დროისათვის მიგრაციული ტალღის მიერ ჩამოტანილ ტრადიციულ ურთიერთობებში აისახა XVII ს მეორე ნახევარში დასავლეთ ტრადიციულ ურთიერთობებში არსებული სოციალური დიფერენციაცია, რაც ევლია ჩელების მიერ

აღნერილი „ბეგების“ ჰაერზე დაკრძალვის წესში აისახა. თუმცა ხსენებული „ბეგი“ აფხაზების სტრუქტურის იერარქიულ საფეხურში გამოკვეთილი თემის მეთაური ან გვარის უფროსი უფრო უნდა ყოფილიყო. მიგრაციული ტალღის მიერ XVII ს-ში ჩამოტანილმა ჰაერზე დაკრძალვის ტრადიციულმა ჩვეულებამ ამავე საუკუნეში განიცადა ტრანსფორმაცია, მაგრამ XVII ს და XVIII ს მეორე ნახევარში კვლავ ტრადიციული სახით დადასტურდა [12. 785], რაც ადილეური ნარმოშობის ეთნიკური ჯგუფების ნარმომადგენელთა განახლებული ნაკადების ჩამოსახლებით უნდა აიხსნას. ამრიგად, ზემოთქმული ნათელყოფს, რომ ძველ კოლხეთში და XVII ს აფხაზეთის ტერიტორიის დადასტურებული ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება ეთნიკურად განსხვავებულ ხალხებში იყო გავრცელებული.

მართალია, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიურად შესწავლა უმეტესად XVIII-XIX სს დაიწყო, მაგრამ დამწერლობის არამქონე ხალხისათვის მნიშვნელოვან წყაროს ნარმოდგენს უცხოელი ავტორების ცნობები. ჩერქეზული ნარმოშობის ეთნიკური ჯგუფები კი სწორედ ასეთ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნება. მსგავსი წყაროების საფუძველზე ცნობილი ხდება, რომ ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება თავდაპირველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ნარმოშობით ჩერქეზულ ეთნიკურ ყველა გაერთიანებაში, მაგრამ XX ს-მდე ეს ჩვეულება და მისი განვითარებული ფორმები იმ ადილეურ ტომებს (ჯიქები, აპაზები, შაფსულები...) შემორჩათ, რომელთა მასობრივი მიგრაცია XV-XIX სს ივარაუდება აფხაზეთში. ასე მაგალითად XIV ს მოგზაურები ი. შილტბერგერი და ფ. ბრუნი აღნერენ, რომ კუბოში ჩასვენებულ მიცვალებულს ჩერქეზები ხექტებიამაგრებდნენ და იქვე ტოვებდნენ, სანამ არ გაიხრნებოდა [27. 40; 20. 60-61]. ჯორჯიო ინტერიანო (XV ს.) ჯიქების დასაფლავებას უწნაურს უწოდებდა, რადგან ისინი მიცვალებულს ხის მალალ ფიცარნაზე მჯდომარე მდგომარეობაში ტოვებდნენ, მხოლოდ ნინასწარ მუცელს შიგნეულისაგან უნთავისუფლებდნენ. მიცვალებულის მოსანახულებლად მოსულ ნათესავებს, მეგობრებსა და ხელქვეითებს მოჰქონდათ სხვადასხვა საჩუქარი – ვერცხლის სასმისები, მშვილდისრები და სხვა ნივთები. ფიცარნაზე მიცვალებულის დასვენებიდან მეორე დღეს ჭრიდნენ დიდტანიან ხეს, რომელსაც ორად ჰყოფდნენ და გულს უჩიორენიდნენ. მერვე დღეს მიცვალებულს ხის ერთ ნაწილში ჩაასვენებდნენ თავისივე საჩუქრებით, ხოლო მეორე ნახევრით დახურავდნენ. ამის შემდეგ მას მინაში მარხავდნენ [22. 51, 52]. მრავალფეროვანი ცნობებია დაცული XVII-XIX სს სხვა ავტორებთან, სადაც ჩერქეზთა ჰაერზე დაკრძალვის ტრადიციული და მისი ტრანსფორმირებული ფორმების არსებობაცა დადასტურებული [16. 85, 118, 155, 526 და შემდეგ].

ჰაერზე დაკრძალვის საწესო რიტუალი, რომ დასავლეთ კავკასიის ყველა ხალხში იყო გავრცელებული, ჩანს ოსებთან შემორჩენილი ჩვეულებიდანაც. მიუხედავად ქრისტიანობისა XX ს დასაწყისშიც კი ოსები მეხისაგან დალუპულ ადამიანს წმინდად მიიჩნევდნენ და მჯდომარე სახით ინახავდნენ გარკვეული დროის მანძილზე. ასეთი ჩვეულება სხვადასხვა ავტორების (შტელდერი, ბ. გატიევი, ბ. კალოევი...) მიერ იქნა აღნერილი. რიტუალს ატარებდნენ და კრძალავდნენ დალუპვის ადგილას. სამი დღის მანძილზე დღესასწაულში, ცეკვა-სიმღერაში მონაწილეობას იღებდა მთელი

აფხაზები
კავშირები
მდგრადალის
ტიკური
აფხაზუ
შეიქრა,
ფერი. მ
ვალებუ
გადავიდ
აფხ

ვალებუ
საცხოვ
პატრონ
81]. ამი
ჰქონდა
გამოწვე
თავისებ
დაკავში
ცხადია,
ქილი მ
არც ის
არავით
ვარაუდ
როლი

1.
კომენტ
2.
3.
4.
5.
ისტორ
6.
7.
შესახებ

სოფელი, რომელიც განადიდებდა და თაყვანს სცემდა ჭექა-ქუხილის ღვთაებას – ილიას. რიგუალის დამთავრების შემდეგ მიცვალებულს მჯდომარეობში ჩაუშვებდნენ სამარეში [29].

ჰერიზე დაკრძალვა ცნობილი იყო მსოფლიოს მრავალ ხალხებში – ტყეში, ხის ტოტებზე ტოვებდნენ თავის მიცვალებულებს ძველი მონძლოლური ტომები [19. 77]; ჰერიზე დაკრძალვა ცნობილი იყო ციმბირის თურქულენოვანი ხალხისთვის [17. 176]; და ალტაის მოსახლეობისთვისაც [36. 129-130]; XVII ს-ის იაკუტებში გავრცელებული იყო ე.წ. „არანგასებზე“ დაკრძალვა. ჩვეულების თანახმად ტყის პირას მეტრნახევრი-ანი სიმაღლის ოთხ სარზე გაკეთებულ ფიცარნაზე კუბოს დასვენებდნენ, რომელიც მთლიანი ხის მსხვილი მორისაგან კეთდებოდა [17. 177]; მსგავსი ჩვეულება გაგრცელებული იყო ყირგიზებსა და მორდველებში [32. 185]; კორეელებში [28] და ა.შ. ამრიგად, ვერ დავეთანხმებით აფხაზ მკვლევარებს, რომ თითქოს მსოფლიოში მხოლოდ აფხაზებსა და ზოგიერთ ადილეურ ტომებში იყო გავრცელებული ეს წესი.

საინტერესოა, რამ განაპირობა დასავლეთი კავკასიაში ჰერიზე დაკრძალვის წესის არსებობა. ამის შესახებ არქეოლოგების მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ განსაზღვრული მოსაზრებებია გამოთქმული. ადრე მეცნიერთა უმეტესობა ამ ჩვეულებას უკავშირებდა უძველეს ნარმართულ რელიგიურ რწმენას – ზოროასტრიზმს. მაგ. ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ მეორადი დაკრძალვის წესი დაკავშირებული იყო მშედვენობასთან, რომელიც კრძალავდა გვამით მიწის ნაბილნ-ვას და მხოლოდ ხეზე გამოშრობის შემდეგ მიიჩნევდა შესაძლებლად მიცვალებულის ძვლების დამარხვას [31. 184]. ასევე ფიქრობდა გრაფინია უვაროვაც, რომლის აზრით, ალანთა მიწისზედა აკლდამები პირდაპირ უნდა ყოფილყო დაცავშირებული ამ რელიგიურ რწმენასთან [30. 16]. ამავე მიზეზით, მილერი, დასავლეთი კავკასიურ მასალაზე და სხვადასხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ცნობებზე დაყრდნობით, აფხაზეთში საეჭვოდ თვლიდა უძველესი სამარხების არსებობას [26. 3]. დიდი ხნის მანძილზე ამიერკავკასიაში მოღვაწეობის შედეგად ჯ. დე მორგანიც ძველი წელთაღრიცხვის V ს-დან ახალი წელთაღრიცხვის I ს-დე აფხაზეთში ორმო-სამარხების არსებობას არ ვარაუდობდა [31. 23]. მოგვიანებით არქეოლოგების მიერვე გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჰერიზე დამარხვის ჩვეულება ორმო-სამარხებში ჭარბი ტენიანობის გამო ყოფილა დაწესებული. როგორც აფხაზეთში, ასევე ადილეში გათხრილი სამრხებიდან ნათელი ხდება, რომ ტენის სანინაალმდევონდ, როგორც ორმოსათვის ისე კუბოებისათვისაც გამოყენებული იყო კირხსნარი [8. 156]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვისა და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე როგორც ადილეველების, ისე აფხაზების წინაპრებისათვის დამახასიათებელი იყო საცხოვრებელი ფაცხების კირხსნარით შელესვაც.

ამრიგად, წყაროების, ლიტერატურის და ჩვენს მიერ აფხაზეთსა და ჩერქეზეთში მოპოვებული საველე ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების შედეგად ირვევა, რომ ჩერქეზული ნარმოშობის ზოგიერთი ეთნიკური გაერთიანებისა და აფხაზების ჰერიზე დაკრძალვის ჩვეულება და მისი განვითარებული სახეები მსგავსია, რაც დაკრძალვის ჩვეულება და მისი განვითარებული სახეები მსგავსია, რაც პროადილეური უძველესი რელიგიის ადრეული ფორმებიდან იღებს დასაბამს. ეს კი

აებას –
არეოპში
ემი, ხის [19. 77];
17. 176];
ლებული
ახევრი-
ომელიც
ფელება [28] და
ფლიოში
ს წესი.
ის წესის
ტურაში
ოობა ამ
ოორას-
ს წესი
ნაბილნ-
ებულის
რომლის
რებული
კვასიურ
ენობით,
დი ხნის
ძველი
ოომო-
ლოგების
ჰაერზე
დაწე-
ს ხდება,
თვისაც
ესოა ის
როგორც
ქხოვრე-
ქეზეთში
ვა, რომ
ჰაერზე
ა, რაც
ს კი

აფხაზებისა და ადილეური წარმოშობის ხალხების ეთნოგენეტიურ და კულტურულ კავშირებზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციული მოსახლეობის ჩაბმამ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაკრძალვისადმი დამოკიდებულება შეცვალა. აფხაზური გლოვისა და დაკრძალვის რიტუალებში ქართული ყოფის ელემენტები შეიქრა, შეიცვალა გლოვის გარეგნული გამოხატულება, ტანსაცმლის ფორმა და ფერი. მართალია, მიგრაციული მოსახლეობა ნაწილობრივ ადრეც მიმართავდა მიცვალებულის მინაში დამარხვას, მაგრამ თანდათანობით ინპაციურ დაკრძალვაზე გადავიდა.

აფხაზები ყოველთვის ქართველებისაგან განცალკევებით ასაფლავებდნენ მიცვალებულებს, საფლავებისათვის ირჩევდნენ გორებსა და ამაღლებულ კორდებს საცხოვრებლის ახლოს, ზოგჯერ საეუთარ ეზოსაც. აფხაზური წარმართული, პატრონიმული სასაფლაოები „გაბნეული იყო სოფლის მთელ ტერიტორიაზე“ [21. 81]. ამიტომ მათ აფხაზეთში კომპაქტურად დასახლებულ სოფლებშიც კი არასოდეს პეტონდათ საერთო საუბნო, ან საგვარო სასაფლაო. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო არამარტო სოცილური ყოფისა და კულტურის ან დასახლების თავისებურებებით, არამედ მათი ქცევის ქვეცნობიერი მოტივაციითაც, რაც დაკავშირებული იყო მათი აფხაზეთში სწორედ მიგრაციული გზით დამკვიდრებასთან. ცხადია, ისინი ამას არ აღიარებდნენ, მაგრამ ცნობიერებაში მექანიკურად დალექილი მოტივი შეგნებული ჰქონდათ, რაც მართავდა მათ ქცევასა და მისი აღმოფხვრა არც ისე ითვის ხდებოდა. ასეთ ქვეცნობიერ ჩვევებში, რომლებშიც თითქოს არავითარი შინაარსი არ ჩანს, ზოგჯერ შესაძლებელია მისი არსის დადგენა. ჩვენი ვარაუდით, ეს არის შეგნების ის ფორმა, რომელიც ქმნიანება ჩამოსახლების ცოდნას, რწმენას მათი ამ ტერიტორიაზე არამკვიდრობის შესახებ. ამ თვალსაზრისის დამადასტურებელია მხოლოდ მკვიდრი, ქართველური მოსახლეობის ზრუნვა ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრებზე, რომლის სიახლოესა და მათ ეზოებში თავის მიცვალებულებს სწორედ ავტოქტონური, ქართველური მოსახლეობა ასაფლავებდა, რაც წარმართ აფხაზებთან კონფლიქტის მიზნი არასოდეს ყოფილა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტია, ა. გელოვანის თარგ., ა. ურუშაძის კომენტარები, თბ., 1975.
2. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.
3. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკ. გ. ფუთურიძის თარგმ., თბ., 1971.
4. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
5. ინაძე მ., ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, №2, 1992.
6. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
7. ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. მსკო, ნაკვ. 35, თბ., 1913.

8. Лотртвийтабиძე Г., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.
9. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერუინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
10. მუსხელიშვილი დ., აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. „არტანუჯი“, თბ., 2000 №10.
11. პაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრერუინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის, „ძიებანი“, თბ., 2000, №5.
12. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
13. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველო შესახებ, თბ., 1969.
14. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბ., 1969.
15. ქველი ქართული ქრესტომათია, I, თბ., 1946.
16. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв – Нальчик, 1974.
17. Алексеев Н.А., Ранние формы религии – Новосибирск, 1986.
18. Анчабадзе З.В., История и культура древней Абхазии – М., 1964.
19. Бичурин Н.Я., Собранные сведения о народах, обитавших в Седней Азии в древние времена – М., Л., 1950 – ч. 2.
20. Брун Ф., Путешествие...//Записки Новороссийского университета, 1967.
21. Джанашия Н., Статья по этнографии Абхазии – Сухуми, 1960.
22. Джорджио Интериано. Быт зыхов, называемых черкесами // В кн.: Адыги... – Нальчик, 1974.
23. Жан де Люк., Описание перекопских и Ногайских татар, черкесов, мингрелов и грузинов Жана де Люка, монаха Доминиканского ордена 1625 // Записки Одесского общества истории древностей, 1879 – т. II.
24. Иващенко М.М., Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии // Известия научно-исследовательского ин-та Кавказоведения – Тифлис, 1935 – Вып. 3.
25. Инадзе М., Вопросы этнополитической истории древней Абхазии // Разыскания по истории Абхазии / Грузия – Тб., 1999.
26. Инал-Ипа Ш.Д., Абхазы – Сухуми, 1965.
27. Иоганн (Ганс) Шильтбергер., Путешествия... // Адыги... – Нальчик.
28. Ионова Ю.В., Погребальные обряды корейцев // Культура народов Зерубежной Азии – Ленинград, 1973.
29. Калоев Б.А., Похоронные обычай и обряды осетин в XVIII – начале XX в. // КЭС – М., 1984, т VII.
30. Ковалевский М., Современный обычай и древний закон. – М., 1886.
31. Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды. – Тб., 1949, т. 1.
32. Ломоури Н., Абхазия в позднеантическую и раннесредневековую эпоху // Разыскания по истории Абхазии / Грузия – Тб., 1999.
33. Меликишвили Г.А., К истории древней Грузии – Тб., 1959.

34. Микеладзе Т.К. Мусхелишвили Д., Колхидская археологическая экспедиция в 1978 // ПАИ – 78 – Тб., 1981.
35. Мусхелишвили Д., Исторический статус Абхазии в Грузинской государственности // Разыскания по истории Абхазии / Грузия – Тб., 1999.
36. Тоцакова Е.М., традиционные черты народной культуры алтайцев – Новосибирск, 1978.
37. Трапши М.М., Труды – Сухуми, 1970 – т. 1.
38. Трапши М.М., Труды – Сухуми, 1969 – т. 2.
39. Чурсин Г., Материалы по этнографии Абхазии – Сухуми, 1957.

Саломэ Бахиа-Окруашвили

ОБЫЧАЙ ВОЗДУШНОГО ПОГРЕБЕНИЯ В КОЛХИДЕ И АБХАЗИИ.

В этнографических описаниях значительное место занимает обычай погребения. Традиция великолепно отражена не только в народных похоронных ритуалах, но и в формах захоронений и в других обрядах сохранения останков. С древнейших времен вплоть до современной эпохи на территории Абхазии установлены различные способы погребения. Среди них наряду с самым древним способом ингумации встречается и обычай захоронения в воздухе, когда завернутое в невыделанную бычью шкуру тело подвешивается веревками на дереве. Через определенное время костные останки и личный инвентарь усопшего хоронятся в погребальных ямах, именуемых археологами вторичным захоронением. Сведения об обычаях захоронения в воздухе засвидетельствованы в древнейших источниках, реальное содержание которых относится к VIII-VII вв. до н.э. Кроме античных источников, об обычаях сходных с захоронением в воздухе, повествуют и сведения XVII-XVIII вв. В VII-III вв. до н.э. Обычай захоронения в воздухе был распространен среди колхов (картвельские племена), а с XVII в. – собственно среди этнических абхазов.

თინებულის იმურინიმოსტრი და თემურის გადამოსახულით მიმდინარეობს. შეს ხავ და მარტინის დამოსახული მიმდინარეობს. თემურის გადამოსახული და მარტინის გადამოსახული მიმდინარეობს. ასეთი კარგი პირი ვარი გადამოსახული და მარტინის გადამოსახული მიმდინარეობს. ასეთი კარგი პირი ვარი გადამოსახული და მარტინის გადამოსახული მიმდინარეობს.

ლავრანტი პავლიშვილი

**სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ტრადიციული
საცხოვრებელი**

სამცხე-ჯავახეთის სოფლების უმრავლესობა ოდნავ შეფერდებულ ადგილებზე, მდინარეთა ხეობებშია გაშენებული. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლების ფორმა შეესაბამება ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, რელიეფს და ტრადიციულ კულტურულ-სამეურნეო ყოფას.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სამცხე-ჯავახეთში რუსულმა მმართველობამ არზრუმიდან (ოსმალეთის იმპერია) ჩამოასახლა 30 ათასამდე სომეხი. ისინი კომპაქტურად დასახლდნენ ძირითადად რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას მუსულმანთაგან (მათი უმეტესობა გამაპმადიანებული ქართველთა შთამომავლობა იყო), დაცლილ მესხურ სოფლებში. ასეთი დასახლებები, ადგილობრივი ქართულის მსგავსად, მონოგრაფური უბნებისაგან შედგებოდა, დაცული იყო განსახლების პატრონიმიული პრინციპი, ყოველი უბანი რამდენიმე ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს აერთიანებდა.

მესხეთის პირობებში მონოგრაფური სოფელი შეკრულ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო პოლიგრაფურ სოფლებში ნათესაური გაერთიანებები, უბნები, ერთმანეთის ახლოს განლაგებულ და ვინრო შუკებით გამოყოფილი კვარტლების წყებას ქმნიდა. უბნურ-კვარტლური დასახლება ძირითადად პორიშონტალურად იყო განვითარებული, თუმცა ზოგჯერ ტერასული სახეც ჰქონდა, ისე რომ ერთი სახლის ბანი მეორის ქმოს წარმოადგენდა (4.51).

უბანს სამცხის მთელი მოსახლეობა და მათ შორის სომხებიც „მაილა“-ს, უწოდებდა. მაილას დასახელება შეიძლებოდა წარმოშობილიყო მისი მდებარეობის მიხედვით – ვერი მაილა (ზედა უბანი), ნერკინ მაილა (ქვედა უბანი); იქ მაცხოვრებელთა საერთო ნინაპრის სახელის მიხედვით – „სოფერინგ მაილა“; გვარის მიხედვით – „დარბენენჯ მაილა“, ხელობის მიხედვით – „დურგალენჯ მაილა“ და ა.შ.

სომხებით დასახლებული სოფლების ძირითად ორიენტირს ჩვეულებრივ გრიგორიანული ან კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს. როგორც წესი ეკლესიასთან მდებარეობს მცირე ზომის მოედანი, ხალხის თავშესაყარი, ხშირად აქვეა ხოლმე მილსადენით გამოყენილი წყალი – ქვის, ბეტონის ან ხის აუზებით და ჩამოსაჯდომი ძელსკამებით. ეკლესიის მოედანზე იმართება სახალხო თავყრილობები, აქ იყრიბებიან, საეკლესიო დღესასწაულების დროს, სოფლის საჭირობოტო საქმეების გასარჩევად, ანდა უბრალოდ სალაყანი.

სასაფლაო, ჩვეულებრივ, სომხებით დასახლებულ სოფლებში განაპირას მდებარეობს, ეთნიკურად შერქეულ პუნქტებში კი მოშორებით – და სომხებისათვის

ტრადიციული იერსახე აქვს. მიცვალებულთა პატრონიმიული პრინციპით დასაფლავება ამ ბოლო დრომდეა შემორჩენილი.

შენობა-ნაგებობის განლაგებით სომხური სოფლები ადგილობრივი ქართული დასახლებებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ტრადიციულად სამცხე-ჯავახეთის სიმბიოზური, მინათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო, დარბაზული ტიპის ნაგებობები. დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელებით დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა. ეზოების უქონლობისა და ნაგებობის დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა. მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო ასეთი დასახლება თითქმის შეუმჩნველი იყო. მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო ასეთი დასახლება თითქმის შეუმჩნველი იყო. სოფელს მტრის თვალისაგან იფარავდა ისიც, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულები მოშორებით მდებარეობდა. მთხოვნელთა გადმოცემით მიწურბანიანი და სანახევროდ მინაში ჩაფლული სოფელი ნაელებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმების შემთხვევაში. საამისო მაგალითად ადგილობრივი მაცხოვრებელები სოფ. ჭავარაქის მაგალითს იშველიერენ, სადაც მოსახლეობას მე-20 საუკუნის დასაწყისში მიწურბანიანი სახლები ე. წ „კრიშიანი“-ით შეუცვლია და 1918 წელს მესხეთში განვითარებული დრამატული მოვლენების დროს ყველაზე მეტადაც დაზარალებულა. თურქებს მათი სახლები მოლიანად გადაუწურავთ (17).

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების ტრადიციული საცხოვრებელი ერდოიან-გვირგვინიან დარბაზულ ნაგებობათა ტიპს განეკუთნება. სამეცნიერო ლიტერატურაში. მიღებული კლასიფიკაციით ამგვარი სახლები გავრცელებულია აღმოსაველთ საქართვლოს ბარში და ძლიერად შეჯგუფებულ, მეტწილად გზისპირა დასახლებას წარმოადგენს (2.62). სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობების ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბება გეოგრაფიული მდებარეობის და ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულობამ განაპირობა. საქართველოში ერთი საერთო ძირიდან აღმოცენებული სამი მოდიფიცირებული სახეობაა აღნერილი: ქართლური, ნალკური (თრიალეთური) და მესური (6.45).

დარბაზული ტიპის ნაგებობები გავრცელებული იყო ასევე ყარსში, ბასიანსა და მის მომიჯნავე ოლქებში არსებულ სომხურ დასახლებებშიც. ამიტომ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებისას დაცარიელებულ სოფლებში მათ უკვე ნაცნობი საცხოვრებელი გარემო დახვდათ. მესრური საცხოვრებელი ერთ ჭერქვეშ მოთავსებულ ადამიანთა საცხოვრისს და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. ამ მხრივ აქაური ტრადიციული სომხური და ქართული სახლები იდენტურია. მე-20 სა-ის 90-იან წლებში ასეთი შენობები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო, თუმცა საცხოვრებლად თითქმის აღარ გამოიყენებოდა, არსად შეგვევდრია მათი თუნდაც სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაც.

მხოლოდ ერთგან, სოფ. ნაოხრევში (ცხოვრობენ სომეხი კათოლიკები) დავაფიქსირეთ შედარებით კარგად შემონახული მიწური შენობა, რომელშიც მარტოხელა მამაკაცი, მოსო ევენიანი ცხოვრობდა. პატრონმა სახლის ფოტოგრაფირების და აზომვის ნება არ მოგვცა, რის გამოც იძულებული ვართ ამ ნაგებობის ზეპირი აღნერით შემოვიფარგლოთ.

სომხურ ენაში სახლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ტუნ“, იგი უძველესი ტერმინია. შუა საუკუნეების სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ტუნს თავდაპირველად რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ის გამოხატავდა ერთი მხრივ სამფლობელოს, მამულს, რაიონს, ოლქს და თვით ქვეყნასაც კი, მეორე მხრივ კი სოციალურ გაერთიანებებს – გვარს, პატრონომიას და მოვგვიანებით დიდ საოჯახო თემს (8,84-89).

მოსო ევენიანის სახლი ან როგორც ადგილობრივი სომხები უნოდებენ „გოლატუნ“ (მინის სახლი) აგებულია ქვისა და ალიზისაგან, გადახურვა მიწურბანი-ანია, შედგება კარაპანის, დერეფნისა და სამი განყოფილებისაგან.

საცხოვრებელის შესასვლელში მოთავსებულია ღია აივანი – „კარაპანი“, რომელიც სამუშაო და საყოფაცხოვრებო იარაღების საწყობად გამოიყენება. ზაფხულობით ოჯახი სწორედ აქ ატარებდა დროს. კარაპნიდან ხის მძიმე, უბრალო კარით შევდივართ ბნელსა და ვიწრო დერეფანში „შვოგ“, რომელიც ნაგებობის ცალკეულ განყოფილებებს ერთმანეთთან აკავშირებს. შვოგის მარცხნივ იმყოფება ტანდერტუნი (თონის სახლი), დაახლოებით 2კვ. მეტრის ფართობის სოხანიანი ოთახი, მისი სახელწოდება მომდინარეობს აქ მოთავსებული „ტუნდირის“-ისაგან (თონე=კერია). ეს ოთახი ორი განყოფილებისაგან შედგება – ერთი შედარებით მაღლაა (40-50 სმ-ით) განლაგებული. ამ განყოფილებაში ორი განსხვავებული ზომის ტუნდირია ჩადგმული. ტუნდირი=თუნდირი წარმოადგენს მინაში პირამდე ჩადგმულ გამომწვარი თიხის უძირო ცილინდრული ფორმის ჭურჭელს (ქართული თონის მსგავსს). შედარებით დიდი ზომის ტუნდირში დიასახლისი კვირაში ერთხელ სომხურ ლაგაშს აცხობდა, მომცროში კი ყოველდღიურ საჭმელს ამზადებენ. ამ ოთახის შემაღლებულ ნაწილს „ტენდრუჟ“ ჰქვია.

ტედენტუნის დაბალ განყოფილებაში დგას ხის გრძელი ტახტი. წინათ მასზე ოჯახის ახალგაზრდა წევრები იძინებდნენ. ტენდერტუნს საკუთარი გვირგვინი აქვს, რომელიც ხის ბოძებზეა დაყრდნობილი და ხუთი საფეხურისაგან შედგება. ამ სათავსოში ინახებოდა მარცვლეულისთვის განკუთვნილი ხის დიდი ჭურჭელი „ამბარ“-ი.

შვოგი მთავრდება საკმაოდ მოზდრილი ბნელი ოთახით „გომი“-თ. გომი საქონლის სამყოფელი (ბოსელი) იყო. მას სინათლე ზემოთ მოთავსებული პატარა ერდო-დან „ერდიე“ მიენოდებოდა. აქ იატაკი „მალდერუმ“ ხის ძელისაგნაა გაკეთებული. შალდერუმს შუაში პატარა ლარი „გრანიც“-ი ჩაუდის წუნწუხის გასასვლელად. გომს ბრტყელი მიწური გადახურვა აქვს.

დერფნის მარჯვნივ, გომის მოსაზღვრედ, მოთავსებულია საცხოვრებელი ოთახი სექუნ-ი, ან „ბეშიკოდა“ შენობაში ესა ყველაზე კეთილმოწყობილი განყოფილება. ეს ოთახი ითვლებოდა ოჯახის უფროსის სამყოფელად, აქვე მისი მოსასვენებელი ადგ-ილი „მირანდარ“. აქვე იყო გრძელი ხის ტახტი კარებით „დოლაბ“ ჭურჭლისა და თეთრეულისათვის. სინათლე და პაერი ბეშიკ ოდაში გვირგვინის ბოლოში დატანებული ერდოდან შემოდის. გვირგვინი ოთხუთხაა, ხუთისაფეხურიანი (მისი აგების წესი უკვე მე-19 ს-ში არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში) (15,42). ერდო

მცირე ზომის, 30-40 სმ-იან ჭრილს წარმოადგენს, რომელსაც წვიმიან ამინდში პატარა ფიცარს აფარებდნენ, რათა საცხოვრებელში წყალი არ ჩამოსვლოდათ. სომხურ-ქართული ტრადიციული ნაგებობის შედარებით შესწალის საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან ნლებში დასვა ლ. მემიქეს ბეგმა (14). მას შემდევ ამ საკითხს რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების ტრადიციული საცხოვრებელის აღნერას, მათში ფრაგმანტულად თუ შევხვდებით.

ს. ლისიციანის თანახმად რუსულ კულტურასთან საყმაოდ ინტენსიური შეხების მიუხედავად სომხური შენობა-ნაგებობები საოცარი არქიტექტურული და კონსტრუქციული ერთფეროვნებით ხასიათდებოდა (11.109). ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ნაგებობის ფორმის, სამშენებლო მასალის, სახურავის მონუმენტობისა და კერის ადგილსამყოფელის მიხედვით ორი ტიპის ტრადიციულ ნაგებობას ე.წ. „გლობატუნს“ გამოყოფენ (12.100-104). ეს ტიპები ზემოთ აღნერილი გოლიატუნისაგან განსხვავდება რიგი ელემენტებით, რომლებშიც ადგილობრივი ქართული (მესხური) სამშენებლო ტრადიციების ძლიერი გავლენა იგრძნობა.

ლისიციანისული ტიპოლიგიით პირველ ტიპის საცხოვრებელი – „კარადამ“-ი გავრცელებული იყო სომხეთის ტყით მდიდარ რაიონებში ლორე*. ტავუში, მთიანი ყარაბახი, ზანგეზური, ვანის ტბის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპირო, მუშის დაბლობი, ხოლო მეორე ტიპი – ტყით შედარებით ღარიბ რაიონებში როგორიცაა – ტურნბერანი, ახმინი, შირაქი, არაგანი, ჯავახეთი.**

ყარადამის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ითვლება სამეურნეო ფუნქციის მქონე ნაგებობათა საცხოვრებლის გარეთ განლაგება და კერა=ტენდირის არქონა. ლისიციანის აღნერით ყარადამი შედგებოდა სრაბისა და ერთი კვადრატული ერდოიან-გვირგვინიანი ოთახისაგან. ოთახის შუაგულში მოთავსებული იყო ჩაღრმავებული ადგილი ცეცხლისათვის, რომელსაც ქვისაგან ნათალი სკმები ჰქონდა შემონაბილი. ტენდერის არქონას ს. ლისიციანი იმით ხსნიდა, რომ ეს რეგიონი მდიდარია ტყეებით (ტენდერში საწვავად ძირითადად წივა – გამხმარი ნაკელი გამოიყენება) (12.100-104). სხვა ავტორების მიხედვით ყარადამში საცხოვრებელ ნაგებობასთან ერთ ჭერქვეშ შეიძლება სამეურნეო ნაგებობებიც იყოს: ღია დერეფანი (სრახ, ერესებეც, აიგან), საცხობი (ჰაცატუნ), საკუჭნაო (მარან), ბოსელი (გომ) და ზოგჯერ ქალაქური ტიპის სასტუმრო ოთახი (სენიაჟ ოთახ) (15.72).

მთავარ საცხოვრებელ განყოფოლებაში კედლის კუთხეებთან აღმართულია ხის სვეტები, რომლებიც ქვის საფუძველს ეყრდნობიან, კედლების პარალელურად გადებულია ორი ძელი, მათზე ცენტრის სიახლოეს პერპენდიკულარულად მაგრდება შედარებით მცირე ზომის ორი პარალელური ძელი, ასე შეიკვრება კვადრატი,

* სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული ქართული ოლქი ლორე ერთმნიშვნელოვნადაა გამოცხადებული სომხეთის საკუთრებად, რაც ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული

** ქართული ტოპონიმი ჯავახეთი სომებ ავტორებთან გვხვდება ფორმით – „ჯავახეი“ და მასაც ისტორიულად სომხურ პროვინციად მიიჩნევენ.

რომელიც გვირგვინის პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ კვადრატს ეყრდნობა უფრო მცირე ზომის კვადრატი. ასე თანდათან დაპატარავებული კვადრატების საშუალებით იქმნება გვირგვინი. რომელიც სინათლისა და კვამლის გამტარი ერდიკით მთავრდება. ამ ტიპის ნაგებობში საცხოვრებელი ოთახი, როგორც წესი, ერთდროულად წარმოადგენდა სასადილოს, საძინებელს, სამზარეულოსა და ნანილობრივ საკუჭნაოს (13,72).

საქართველოში გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობებს მეორე ტიპის ტრადიციული სომხური ნაგებობა უფრო წაგავს. ამ ნაგებობებს ახასიათებდა თითქმის ყველა სამეურნეო განყოფილების ერთ ჭრებულება: მთავარი სამეურნეო-საცხოვრებელი განყოფილების (ტუნ, ტან ტუნ) გარდა, შენობაში შედის – (საკუჭნაო კოხ. კილარ), ბოსელი (გომ, თავლა), ბოსელთან არსებული ოთახი (გომი ოდა), დახურული დერეფანი (ბავ, შვაკ) და ზოგჯერ ქალაქური ტიპის სასტუმრო ოთახი (13.104-108). ამ ტიპის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი იყო უფრო რთული გვირგვინისებური გადახურვა, რომელიც ხშირად მრავალუთხა 8, 16 და 32 კუთხიანი ელემენტებისაგან შედგებოდა. ასეთი გადახურვის მქონე სახლები, ჰაზარშენ ტუნები, სომხეთში ძალიან პოპულარული იყო (13. 74). მათში ცალკე იყო გამოყოფილი ტენდერტუნი – ოთახი ტენდერისათვის, რასაც ამ ტიპის ნაგებობებისათვის ძირითად ნიშნად მიიჩნევენ. უფრო არქაულად შეიძლება ჩაითვალოს ნაგებობის შუაგულში მოთავსებული ტენდერიანი ვარიანტი, რომელმაც მოგვიანებით ცალკე ადგილი დაიკავა და თაღით გამოიყო საცხოვრებელ განყოფილებას (13.74). „გომი ოთახ“ და „გომი თავლა“, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ ერთადაა მოქცეული. ამ განყოფილების უმტესი წანილი თავლას ანუ გომს ეჭირა, იგი წარმოადგენდა ბოსელს, რომელსაც ფასადის მხრიდან ნაკელის გადასაყრელად სანათურს უტოვებდნენ. „გომი ოთახ“ დანიშნულებით მესხურ თაკარებიან თდა-საჯალაბოს და თრიალეთურ ლაზური რიგის მიწურებიან თდას შეესაბამებოდა. თ. ჩიქოვანის თანახმად სომხეთის სინამდვილეში „გომი ოთახი“ XIX ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე კოგოვიტის პროვინციებიდან გადამოსახლებულთა შორის იყო გავრცელებული, ხოლო ლორე-ბამბაკის ადგილობრივ მოსახლეობის ეს სათავსო საერთოდ არ ჰქონდა (4.110).

ტრადიციულ სომხურ ნაგებობებში ზოგჯერ გვირგვინი ეყრდნობოდა არა მარტო ხის ბოქებს, არამედ კედლებსაც, უფრო მეტიც, ხშირად ტუფის ქვისაგან ნაგები სახლის გვირგვინი მხოლოდ კედლებს ეყრდნობოდა (ასეთი სახლები სეის-მურად მეტად საშიშია) (10.165).

კერია=ტონირი ხშირად მარტო ტორანტუნში იყო, სხვა ოთახებში ცეცხლს არ

ანთებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა ოჯახის უფროსის საცხოვრებლად

განკუთენილი ოთახი, რომელიც შედარებით მდიდრულად იყო მოწყობილი და

„ბუხარივი“, პატარა ოთხუთხა ფორმის ბუხარი ჰქონდა. ოჯახის ძირითადი წანილი ტორანტუნში ცხოვრობდა (9.75-79).

თ. ჩიქოვანმა დაადგინა სომხური გლხატუნისა და ქართული ერდოიან-

გვირგვინიანი საცხოვრებლის განსხვავებული რიგი ელემენტები. გლხატუნი წარ-

მოადგენდა დახშულ (ქართულთან შედარებით) ნაგებობას; ქართულისაგან

განსხვავებით ყოველთვის ოთვედლიანი იყო სახლის ფასადის მხარეს მოთავსებული კარაპანი (სომხ. სრახ); ყარადამის წინ აგებულ მეტნილად, წინიდან ღია და უკედლო ჩარდახს, როგორც წესი, ერთ კედელში ღუმელი ჰქონდა დატანებული; მაღალმთან სომხეთში ერდოიან-გვირვინიანი კომპლექსისათვის დამახასიათებელი ყველა განყოფილების კარი სრახში გამოდიოდა; ტუნის გადახურვა მთიან სომხეთში ძირითადად საკედლე სვეტებს ეყრდნობოდა და წახნაგოვან გვირვენის წარმოადგენდა, ყარაბაღში კი ოთვეუთხოვანი წყობა ჰქონდა და ოთხ დედაბოძზე იყო დაყრდნობილი; სომხური კერა (თუნირი), თიხის პატარა, ქვევრისებური მოყვანილობის ჭურჭელი, ცენტრიდან ოდნავ განზე იყო განუელი და მინაში ჩაფლული, რაც მას წვიმისაგან იცავდა (ქართული ჩვეულებრივ ცენტრში იყო მოთავსებული); სომხური ჰაცატუნი ერთდროულად საკუჭნაო, პურის საცხობი და ზოგჯერ სასადილოც იყო, რომელსაც უმეტესად ქვისაგან წაგები გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდა ბოლოში დატანებული ერდოთი; საქართველოში ფართოდ გავრცელებული ერდოიან-გვირვენიანი ოთახის ფართობი სრულიად არ იყო დამოკიდებული დედაბოძების ან საერთოდ ბოძების რაოდენობაზე, მაშინ როდესაც სომხურში რაც მეტი იყო ბოძების რიცხვი მით უფრო იზრდებოდა ფართობი (4.89).

ზემოთ აღნერილი გოლიატუნი ქართული (მეხური) ერდოიან-გვირვენიანი საცხოვრებლის სომხურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს. კერა (ტენდერი) გოლიატურში სომხური ტრადიციებისამებრ ცალკე ითახშია გამოტანილი. წაგებობას აქვს ქართული საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი ღია აივანი (კარაპანი), რომელიც განსხვავებულია სომხური ჩარდახისა და სრახისაგან. ტორანტუნის ცალკე გამოყოფამ და იქ ორი თონის (ტენდერის) მოთავსებამ ამ განყოფილებას სომხური ჰაცატუნის იერი მისცა. ამას გარკვეულნილად ეროვნული სამზარეულოს თავისებურებაც განაპირობებდა. სომხური ლავაშის აუცილებლობა ყოველდღიურ მენიუში განაპირობებდა ლავაშის საცხობი ტენდერის შენარჩუნებას სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში, მაშინ როდესაც ქართველები (მესხები) პურის საცხობად ფურნის სახლს ან საფურნე თდას გამოიყენებდნენ (3.150).

ეთნიკური იერსახე ჰქონდა შენარჩუნებული საცხოვრებლის იმ ელემენტებს, რომლებსაც საკულტო დანიშნულება გააჩნდათ, მაგალითად ქართული კერისაგან განსხვავდებოდა სომხური ვოჯახ (კერა); რადგანაც სომხებისათვის დედაბოძის კულტი დამახასიათებელი არ უნდა იყოს და ამიტომ სახურავის საყრდენი ბოძები დედაბოძის ჩათვლით სადაა და ნაკლებად გაფორმებული, ხოლო ქართულ ეთნიკურ გარემოში დედაბოძს დიდი დანიშნულება ჰქონდა, რაც წაგებობაში ამ ელემენტის მრავალფეროვანი ორნამეტებით შემკობით აისახებოდა;

ხალხური ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ნიშნად ითვლება ადვილად ხელმისაწვდომი სამშენებლო მასალის შესაბამისობა კონსტრუქციასთან (1.59). ტყით ღარიბ სომხეთის რაიონებში ხის სამშენებლო მასალად გამოიყენება მინიმუმადე იყო დაყვანილი, მაშინ როდესაც გოლიატუნის კონსტრუქციაში ხის მასალა იგივე პროპორციით გამოიყენებოდა, როგორც სამცხის ქართული მოსახლეობის საცხოვრებელში.

ტრადიციული ნაგებობების ინტენსიური მოდიფიკაციის პროცესს, რომელიც XX ს-ის 30-40-იან წლებში დაიწყო, განაპირობებდა ეთნოდემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები. ერდორიან-გვირგვინიანიდან თანამედროვე საცხოვრებელზე გადასვლის პირველ საფეხურად, მასში ახალი განყოფილებების დამატებას მიიჩნევდნენ, რის შემდეგაც ქართულ ყოფაში „თავარებიანი ოდა“, ხოლო სომხურში „იურისენიაკი“ გაჩნდა. ახალ ოთახებში ბუხრის შენების პრაქტიკამ კონსტრუქციული „ფასული“ გამოიყენებოდა გამოიწვია, „კერის“, „ვოჯვახის“ ადგილსამყოფელის ფასული ფასული უფილებლობა გამოიწვია, „ვერის“, „ვოჯვახის“ ადგილსამყოფელის მოპირდაპირედ კედლთან ბუხრის აგებამ და მისთვის საგანგებო საკვამურის მოპირდაპირედ კედლთან ბუხრის აგებამ და მისთვის საგანგებო საკვამურის მოწყობამ, ერდოს კვამლის გამტარის ფუნქცია დაუკარგა, ხოლო განათება ფან-ჯრებს დაეკისრა. მტრის შემოსუებების საშიშროების გაქრობამ მიწურ ნაგებობს ფასული ტავდაცვითი დანიშნულება დაუკარგა. კარდინალურმა საზოგადოებრივმა ცვლილე-თავდაცვითი დანიშნულება დაუკარგა.

თავდაპირველად მიწისხედა სახლებს შენარჩუნებული ჰქონდა მიწური გადახურვა და გვირგვინისა და ერდოს გარეშე. გაჩნდა ქვითურის კედლები, ფანჯრები ინტერიერის გასანათებლად, ბუხარი საჭმლის გასაკეთებლად და გასათბობად (5.55). თანდათანობით გვირგვინი და ერდო საკვამურიანი სახურავით შეიცვალა, სახურავის მზიდის ფუნქცია კედლებმა იკისრეს, ადამიანთა საცხოვრებელს გამოეყო სახურავის მზიდის ფუნქცია კედლებმა იკისრეს, ადამიანთა საცხოვრებელს გამოეყო სახურნეო დანიშნულების ნაგებობები. სამცხე-ჯავახეთის საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურაში თავისებური გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 40-იან წლების იმერეთიდან ჩასახლებულმა მოსახლეობამ, რომელიც მესხეთის ტრადიციულ მიწურ ნაგებობებს ვერ შეეგუა და იმთავითვე მინიჭედა სახლების აგებას მიჰყო სელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ზოგიერთი თავისებურებანი, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1976
2. რობაქიძე ა., ქართველი ხალხის ტრადიციული საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები), სიეა, თბ., 1986
3. ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მიმომხილველი“, I, 1920
4. ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხური საცხოვრებელის ისტორიიდან, თბ., 1967
5. ჩიქოვანი თ., ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბ., 1960

6. Բոյտշան Յ., Հերմա պիտուղություն և ամենամեջ և աշխարհագույն ճացածքաբեններ, Տայպյ, 1976, №4
7. Հանոաթզուլու Հ., Տամսե-Հազարեալու ընթացքություն գույնաբեն, 1995, №3.
8. Ջավախ Ի. Государственный строй древней Грузии и древней Армении. //Известия КИАИ. – Ереван, 1925. – т. 3.
9. Карапетян Э.Т. Армянская семейная община. – Ереван, 1958.
10. Культура жизнеобеспечения и этнос. – Ереван, 1983.
11. Лисициан С. Из Материалов по изучению жилищ Армении. //Известия КИАИ. – Ереван – 1927. – т. 4.
12. Лисициан С. К изучению Армянского крестьянского жилища (Карабахский карадам). //Известия КИАИ. – Ереван – 1925. – т. 3.
13. Марутян А.Т. Интерьер армянского народного жилища (вторая половина XIX – начало XX в.), //Армянская этнография и фольклор. – Ереван. №17 – 1989.
14. Мелкисед-Беков Л.А., О необходимости сравнительного изучения крестьянских жилищ армян и грузин. //Известия КИАИ. – Ереван – 1925. – т. 3.
15. Пантиухов И.И. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тиф. – 1896.

Лавентий Джаниашвили

ТРАДИЦИОННОЕ ЖИЛИЩЕ АРМЯНСКОГО НАСЕЛЕНИЯ САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ

Резюме

В первой половине XIX века русское правительство переселило из Эрзерума (Османская империя) в Самцхе-Джавахети до 30 тысяч армян, которые компактно расселились в месхетинских селах, покинутых грузинами-мусульманами в период русско-турецкой войны. Традиционное жилище мигрантов является строением с венцеобразным перекрытием с отверстием для выхода дыма («эрдо»), типа «дарбази». По принятой в научной литературе классификаций подобные дома распространены в равнинной части Восточной Грузии.

Со временем переселения, процессы трансформации традиционной культуры не обошли стороной и армянское жилище и хозяйственные постройки. В армянских селах, в изредка сохранившихся домах с венцеобразной кровлей с «эрдо», воочию заметны изменения, прошедшие в результате проживания в грузинской этнической среде.

სარჩევი

	† ციუკულიშვილის ენაზ ლიმიტი ერთობენ 3
801	რედაქტორის განახლება ალექსი რობაძის ალ. რობაძისა დ ს. ჯავახიას მიმოწერა 12
	ვერა შეუბითიძე სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც ეთნიკური ეკოლოგიის საგანი 31
802	ლია ხუციშვილი პულტურათამორისი ურთიართობების კვლევის პროგლემა 39
	ლია მელიქიშვილი „მორის ხატი“ პანგისის საზოგადოებაში 47
803	ნანა ომარაშვილი კაპესიაური მიურიღიერი 52
	ნუგაზარ შეელაძე, თემურ ჭუნაძე მაჟადიანური საულიო ნაგებობების მშენებლობის ისტორიისათვის აზარაში 64
804	ნანული ჯავახაძე ცალიხანი თაობის ნათესავების დაფინანსის ლოკალური ასაეპთეგი (რაზის ნათესაობის ტარმინების მაგალითზე) 75
	ნათა ჯალაბაძე შეიციდის ეთნო-სოციოლიგიური ასაეპთეგი ხევსერეთში 87
805	დალი გიორგაძე რიტუალური „თავდამარხვის“ წარ საძართველოში 96
	ლერი ლევიძე სანალირო სავარჩულები საძართველოს მთიანეთის ტრადიციული დასახლების სტრუქტურაში 102
806	ნათელა ცინცაძე პავლის დაბადებასთან დაკავშირებული ქცევის წესები აღ. საძართველოს მთიანეთში 115
	გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი დასავლეთ საძართველოს მთიანი საცხოვრებლის ინტერიერის თავისებურებანი 121
807	ქეთევან ნაკაშიძე „იავანა-ს“ რაზული ვარიანტები 133
	სალომე ბახია-ოქრუშვილი 2-20-22 (გვ) 22-22-22 (გვ) 22-20-22 პარზი დაპრალვის წარ კოლხეთსა და აფხაზეთში 139

ბახვა გამყრელიძე ჭ	
ქულაროს ხეობა	150
გულდამ ჩიქოვანი	
დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის (რაზა)	163
ლავრენტი ჯანიაშვილი	
სამცხე-ველავეთის სომხური მოსახლეობის ტრადიციები	
საცხოვრებელი.....	183
ლამარა ფაშავა	
რუსთავის დაპრძალვის ტრადიციები	198
დიმიტრი ფირქარი	
იუზილური დამცარლობა	202
ნინო აბაშიძე	
ქართველთა მისია ასირიელთა გამართლებადიდებლობაში	203
ირინე ჯუკაშვილი ჭ	
ძრისტიანული რელიგიის ნიშნები საქართველოში ეცხოვები	
აზერბაიჯანელების ფოლკლორში	209
ირინე ჯუკაშვილი ჭ	
ახალი ფენენციების საქართველოს მუსელმანი მოსახლეობის სულირ	
ცხოვრებაში	215
ლალი მღებრიშვილი	
ილიოველთა სერგა(სოფ. ქალასის ეთნოგრაფიული გასაღების მიხედვით)	224
ლალი ჭარჭალეიშვილი	
ქართველი ძველებართლებადიდებლები	231
გახსენება	
აზერ ძალანი	240
გახვა გამყრელიძე	244
ირინა ვეკაშვილი	248



დაიბეჭდა გამომცემლობა პრტაცეპი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(99) 53-05-22
artanui@ip.osgf.ge